

გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობაზე

წევრები,

აღიარებენ რა მომსახურებით ვაჭრობის მზარდ მნიშვნელობას მსოფლიო ეკონომიკის ზრდისა და განვითარების საქმეში;

სურთ რა დაარსონ მომსახურებით ვაჭრობისათვის პრინციპებისა და წესების მრავალმხრივი სისტემა, გამჭვირვალობისა და პროგრესული ლიბერალიზაციის პირობებში ამგვარი ვაჭრობის გაფართოების თვალსაზრისით, რომელიც ხელშემწყობი ფაქტორი იქნება ყველა სავაჭრო პარტნიორის ეკონომიკური ზრდისა და განვითარებადი ქვეყნების განვითარებისათვის;

სურთ რა მომსახურებით ვაჭრობაში პროგრესულად მაღალი ლიბერალიზაციის დონის ადრეული მიღწევა მრავალმხრივ მოლაპარაკებათა წარმატებული რაუნდების საშუალებით, რომელთა მიზანია ყველა მონაწილის ინტერესების ხელშემწყობა ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე და უფლებებისა და ვალდებულებების საერთო ბალანსის უზრუნველყოფა სახელმწიფო პოლიტიკის მიზნების სათანადო გათვალისწინებით;

აღიარებენ რა წევრების უფლებას არეგულირონ მომსახურების მიწოდება მათ ტერიტორიებზე და შემოიღონ ახალი წესები სახელმწიფო პოლიტიკის მიზნების დაკმაყოფილების მიზნით და სხვადასხვა ქვეყნებში მომსახურების წესების განვითარების ხარისხის მიმართებით არსებული უთანაბრობების გათვალისწინებით, ამ უფლების განხორციელებისათვის განვითარებადი ქვეყნებისათვის განსაკუთრებულ საჭიროებას;

სურთ რა ხელი შეუწყონ მომსახურებით ვაჭრობაში განვითარებადი ქვეყნების მზარდ მონაწილეობას და მათი მომსახურების ექსპორტის გაფართოებას, სხვა ფაქტორებთან ერთად, მათი შიდა მომსახურების შესაძლებლობების, მისი ეფექტურობისა და კონკურენტუნარიანობის განმტკიცების საშუალებით;

ითვალისწინებენ რა ნაკლებად განვითარებული ქვეყნების სერიოზულ სიძნელეებს, მათი განსაკუთრებული ეკონომიკური მდგომარეობის, განვითარების, ვაჭრობისა და ფინანსური საჭიროების მიმართებით;

თანხმდებიან შემდეგზე:

ნაწილი I
მოქმედების სფერო და განსაზღვრება

მუხლი I
მოქმედების სფერო და განსაზღვრება

1. წინამდებარე შეთანხმება გამოიყენება წევრების მიერ გაგარებული იმ ღონისძიებების მიმართ, რომლებიც ზეგავლენას ახდენს მომსახურებით ვაჭრობაზე.

2. წინამდებარე შეთანხმების მიზნებისათვის მომსახურებით ვაჭრობა განისაზღვრება, როგორც მომსახურების მიწოდება:

- (ა) ერთი წევრის ტერიტორიიდან რომელიმე სხვა წევრის ტერიტორიაზე;
- (ბ) ერთი წევრის ტერიტორიაზე რომელიმე სხვა წევრის მომსახურების მომხმარებლისათვის;
- (გ) ერთი წევრის მომსახურების მიმწოდებლის მიერ სხვა რომელიმე წევრის ტერიტორიაზე კომერციული წარმომადგენლობის საშუალებით;
- (დ) ერთი წევრის მომსახურების მიმწოდებლის მიერ სხვა რომელიმე წევრის ტერიტორიაზე, წევრის ფიზიკურ პირთა წარმომადგენლობის საშუალებით;

3. წინამდებარე შეთანხმების მიზნებისათვის:

- (ა) 'წევრი-ქვეყნის მიერ გატარებული ღონისძიებები' ნიშნავს ღონისძიებებს გატარებულს:
 - (i) ცენტრალური, რეგიონული ან ადგილობრივი მთავრობების და ხელისუფლების მიერ;
 - და
 - (ii) არასამთავრობო ორგანოების მიერ, ცენტრალური, რეგიონული ან ადგილობრივი მთავრობების ან ხელისუფლების მიერ დელეგირებული უფლებამოსილების შესრულების დროს;

შეთანხმების მიხედვით თავისი ვალდებულებების შესრულების დროს, თითოეული წევრი, მისთვის შესაძლებლობების ფარგლებში, ატარებს ისეთ გონივრულ ღონისძიებებს, რომლებიც რეგიონული და ადგილობრივი მთავრობების და ხელისუფლების და არასამთავრობო ორგანოების მიერ მის ტერიტორიაზე უზრუნველყოფენ აღნიშნული ვალდებულებების დაცვას;

(ბ) 'მომსახურებები' შეიცავს ნებისმიერ მომსახურებას ნებისმიერ სექტორში, გარდა მომსახურებისა, რომელიც მიეწოდება სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციების შესრულების მიზნით;

(გ) "მომსახურება, რომელიც მიეწოდება სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციების შესრულების მიზნით" ნიშნავს მომსახურებას, რომლის მიწოდება ხდება არც კომერციული მიზნებისათვის და არც რამდენიმე მომსახურების მიმწოდებელთან კონკურენციის საფუძველზე.

ნაწილი II

ზოგადი ვალდებულებები და წესები

მუხლი II

უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი

1. წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული ნებისმიერი ღონისძიების მიმართებით, თითოეული წევრი დაუყოვნებლივ და უპირობოდ ანიჭებს ნებისმიერი სხვა წევრის მომსახურებას და მომსახურების მიმწოდებელს არანაკლებ ხელსაყრელ რეჟიმს, ვიდრე ის ანიჭებს ნებისმიერი ქვეყნის მსგავს მომსახურებას და მომსახურების მიმწოდებელს.

2. წევრს შეუძლია შეინარჩუნოს ზომა, რომელიც არ იქნება 1-ელ პუნქტთან შესაბამისობაში, იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი ზომა შეგანილია და აკმაყოფილებს მე-2 მუხლის გამორიცხვებთან დაკავშირებული დანართის პირობებს.
3. წინამდებარე შეთანხმების დებულებები მიზნად არ ისახავს შეზღუდოს რომელიმე წევრი მიიღოს ან მიანიჭოს უპირატესობები მეზობელ ქვეყნებს, რათა ხელი შეუწყოს მომსახურების გაცვლას სასაზღვრო ზონებში, როდესაც მომსახურების როგორც წარმოება, ასევე მოხმარება, ხდება ამ გერიგორიებზე.

მუხლი III საჯაროობა

1. თითოეული წევრი დაუყონებლივ აქვეყნებს, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, ზოგადი გამოყენების ყველა შესაბამის ზომებს, რომელიც ეხება წინამდებარე შეთანხმებას ან ბეგავლენა აქვს მის მოქმედებაზე და, უკიდურეს შემთხვევაში, მათი ძალაში შესვლის დროს, გარდა საგანგებო სიტუაციებისა. გამოქვეყნებას ექვემდებარება, ასევე, საერთაშორისო შეთანხმებები, რომელთა ხელმომწერიც არის წევრი ქვეყნები და რომელიც ეხება მომსახურებით ვაჭრობას ან ბეგავლენას ახდენს მასზე.
2. იქ, სადაც გამოქვეყნება პუნქტი 1 მოცემული სახით არაპრაქტიკულია, ინფორმაცია სხვაგვარად ხდება ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის.
3. თითოეული წევრი დაუყონებლივ ან უკიდურეს შემთხვევაში წელიწადში ერთხელ, აცყობინებს მომსახურებით ვაჭრობის საბჭოს ნებისმიერი ახალი კანონის მიღების ან არსებულ კანონებში, ნორმატიულ აქტებში ან ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეგანის შესახებ, რაც მნიშვნელოვან ბეგავლენას ახდენს წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში სპეციფიკური ვალდებულებებით გათვალისწინებულ მომსახურებით ვაჭრობაზე.
4. თითოეული წევრი დაუყონებლივ პასუხობს ნებისმიერი წევრის ყველა თხოვნას სპეციფიკურ ინფორმაციაზე მის მიერ გაგარებული ზოგადი გამოყენების ზომების ან 1-ლი პუნქტით განსაზღვრული საერთაშორისო შეთანხმებების თაობაზე, თითოეული წევრი, ასევე ვალდებულია დაარსოს ერთი ან მეტი საინფორმაციო ცენტრი, რათა თხოვნის საფუძველზე სპეციფიკური ინფორმაცია მიაწოდოს სხვა წევრებს ყველა ამგვარ საკითხზე, ასევე საკითხებზე, რომლებიც ექვემდებარება შეგყობინების მოთხოვნებს მე-3 პუნქტში. ასეთი საინფორმაციო ცენტრები იქმნება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო-ს) დაარსების შესახებ შეთანხმების (ამ შეთანხმებაში წოდებული, როგორც 'მსო-ს შეთანხმება') ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში. ამგვარი საინფორმაციო ცენტრების დაარსების დროის საზღვრების მიმართ შესაბამისი მოქნილობა შეიძლება შეთანხმებული იქნეს ცალკეული განვითარებადი წევრი ქვეყნებისათვის. საინფორმაციო ცენტრებს არ ესაჭიროება იყონ კანონებისა და ნორმატიული აქტების დეპოზიტარები.
5. ნებისმიერ წევრს შეუძლია შეაგყობინოს მომსახურებით ვაჭრობის საბჭოს სხვა წევრის მიერ გაგარებული ნებისმიერი ზომის შესახებ, თუ ფიქრობს, რომ ის ბეგავლენას ახდენს წინამდებარე შეთანხმების მოქმედებაზე.

მუხლი III bis საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნება

არაფერი წინამდებარე შეთანხმებაში არ თხოვს რომელიმე წევრისგან მიაწოდოს საილუმლო ინფორმაცია, რომლის გამჟღავნება ხელს შეუშლიდა კანონების ცხოვრებაში გატარებას, ან სხვაგვარად, წინააღმდეგობაში იქნებოდა სახელმწიფო ინტერესებთან, ან რომელიც მიანს მიაყენებდა ცალკეულ სახელმწიფო ან კერძო საწარმოთა სამართლებრივ კომერციულ ინტერესებს.

მუხლი IV

განვითარებადი ქვეყნების მზარდი მონაწილეობა

1. მსოფლიო ვაჭრობაში განვითარებადი წევრი ქვეყნების მზარდ მონაწილეობას გააადვილებს მოლაპარაკებების გზით მიღწეული სხვადასხვა წევრების სპეციფიკური ვალდებულებები წინამდებარე შეთანხმების მე-3 და მე-4 ნაწილების შესაბამისად, რომლებიც ეხება:

(ა) მათი ეროვნული მომსახურების შესაძლებლობების, მისი ეფექტურობისა და კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას, სხვა ფაქტორებთან ერთად, კომერციულ საფუძვლებზე, ტექნოლოგიებზე დაშვების საშუალებით;

(ბ) განაწილების არხებსა და საინფორმაციო ქსელებში მათი დაშვების გაუმჯობესებას; და

(გ) მათი საექსპორტო ინტერესების მქონე მომსახურების სექტორებში და მიწოდების სახეებში ბაზარზე დაშვების ლიბერალიზაციას.

2. განვითარებული წევრი ქვეყნები, და შესაძლებლობების ფარგლებში, სხვა წევრები, აარსებენ საკონტაქტო ცენტრებს მსო-ს შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან ორი წლის განმავლობაში, რათა განვითარებადი წევრი ქვეყნების მომსახურების მიმწოდებლებს გაუადვილდეთ მათ შესაბამის ბაზრებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რომელიც უკავშირდება:

(ა) მომსახურების მიწოდების კომერციულ და ტექნიკურ ასპექტებს;

(ბ) პროფესიული კვალიფიკაციის რეგისტრაციას, აღიარებას და მიღებას; და

(გ) მომსახურების ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას.

3.1-ლი და მე-2 პუნქტების განხორციელებაში განსაკუთრებული პრიორიტეტი ენიჭება ნაკლებად განვითარებულ წევრ ქვეყნებს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ნაკლებად განვითარებული ქვეყნების სერიოზულ სიძნელეებს მოლაპარაკებების შედეგად მიღწეული სპეციფიკური ვალდებულებების მიღებასთან მიმართებით, მათი განსაკუთრებული ეკონომიკური მდგომარეობისა და განვითარების, ვაჭრობისა და ფინანსური საჭიროების გათვალისწინებით.

მუხლი V

ეკონომიკური ინტეგრაცია

1. წინამდებარე შეთანხმება არ ბლუდავს მის რომელიმე წევრს იყოს მონაწილე ან შევიდეს შეთანხმებაში, რომელიც მიზნად ისახავს ასეთი შეთანხმების მონაწილეებს შორის მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას, იმის გათვალისწინებით, რომ

ასეთი შეთანხმება:

(ა) ითვალისწინებს მნიშვნელოვან სექტორულ ჩამონათვალს,

და

(ბ) ითვალისწინებს, მხარეთა შორის ყოველგვარი დისკრიმინაციის არარსებობას ან მის მნიშვნელოვან აღმოფხვრას XVII მუხლის შესაბამისად იმ სექტორებში, რომლებიც მოცემულია (ა) ქვეპუნქტში, შემდეგი ზომების საშუალებით:

(i) არსებული დისკრიმინაციული ზომების აღმოფხვრა, და/ან

(ii) ახალი ან უფრო დისკრიმინაციული ზომების აკრძალვა,

ან წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლისათვის ან გონივრული დროის განრიგის საფუძველზე, გარდა ზომებისა, რომლებიც ნებადართულია XI, XII, XIV და XIV bis მუხლებით.

2.იმის შეფასებისას, დაკმაყოფილებულია თუ არა 1 (ბ) პუნქტის პირობები, ყურადღება შეიძლება გამახვილდეს შეთანხმების როლზე ეკონომიკური ინტეგრაციის ფართო პროცესსა ან შესაბამის ქვეყნებს შორის ვაჭრობის ლიბერალიზაციაში.

3.(ა) იქ სადაც განვითარებადი ქვეყნები არიან 1-ელ პუნქტში მოყვანილი ტიპის შეთანხმების მონაწილე მხარეები, ხდება მოქნილობის გათვალისწინება 1-ელ პუნქტში არსებულ პირობებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით, მისი (ბ) ქვეპუნქტის მიმართებით, შესაბამისი ქვეყნების როგორც საერთო, ასევე, ცალკეული სექტორებისა და ქვესექტორების განვითარების დონის შესაბამისად.

(ბ) მიუხედავად მე-6 პუნქტისა, იმ შემთხვევაში, თუ 1-ლი პუნქტის შესაბამის შეთანხმებაში ჩართულნი არიან მხოლოდ განვითარებადი ქვეყნები, უფრო მეტად ხელსაყრელი რეჟიმი შეიძლება მიენიჭოს იმ იურიდიულ პირებს, რომლებიც ეკუთვნით ასეთი შეთანხმების მონაწილე მხარეთა ფიზიკურ პირებს ან ექვემდებარებიან მათ კონტროლს.

4.პუნქტში 1 ხსენებული ნებისმიერი შეთანხმება განკუთვნილია შეთანხმების მონაწილე მხარეთა შორის ვაჭრობის ხელშეწყობისათვის და მის გარეთ მყოფი ნებისმიერი წევრისათვის, მომსახურებით ვაჭრობის შესაბამის სექტორებსა და ქვესექტორებში, არ ზრდის ბარიერების საერთო დონეს იმასთან შედარებით, რაც არსებობდა ასეთი შეთანხმების დადებამდე.

5.თუ პუნქტის 1 შესაბამისი შეთანხმების გაფორმების, გაფართოების ან რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში, წევრს განზრახული აქვს უკან გამოითხოვოს ან შეცვალოს სპეციფიკური ვალდებულებები, რომლებიც არ შეესაბამება მის ცხრილში დაფიქსირებულ პირობებს, ის არაუგვიანეს 90 დღისა, აკეთებს ასეთი ცვლილების ან უკან გამოითხოვის წინასწარ შეგვობინებას და გამოიყენება XXI მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული პროცედურები.

6.ნებისმიერი სხვა წევრის მომსახურების მიმწოდებელს, რომელიც არის პუნქტით 1 გათვალისწინებული შეთანხმების მონაწილე მხარის კანონებით დაფუძნებული იურიდიული პირი, უფლება აქვს ისარგებლოს რეჟიმით, რომელიც მიენიჭება ამგვარი შეთანხმებით, იმის გათვალისწინებით, რომ ის ასეთი შეთანხმების მონაწილე მხარეთა

გერიგორიებზე ახორციელებს მნიშვნელოვან საქმიანობებს.

7.(ა) წევრები, რომლებიც არიან პუნქტში 1 მითითებული შეთანხმების მონაწილე მხარეები, დაუყოვნებლივ ატყობინებენ მომსახურებით ვაჭრობის საბჭოს ნებისმიერ ასეთ შეთანხმებას და წინამდებარე შეთანხმების გაფართოებას ან ნებისმიერ მნიშვნელოვან ცვლილებას. ისინი საბჭოსათვის ხელმისაწვდომს ხდიან იმ შესაბამის ინფორმაციას, რომელიც შეიძლება მან ითხოვოს. საბჭოს შეუძლია დააარსოს მუსა ჯგუფი, რათა განიხილოს ასეთი შეთანხმება ან მისი გაფართოება ან ცვლილება და მოახსენოს საბჭოს ამ მუხლთან მისი შესაბამისობის შესახებ.

(ბ) წევრები, რომლებიც არიან 1-ელ პუნქტში მითითებული რომელიმე შეთანხმების მონაწილე მხარეები, რომლის განხორციელებაც ხდება დროის განრიგის საფუძველზე, პერიოდულად ატყობინებენ მომსახურებით ვაჭრობის საბჭოს მისი შესრულების თაობაზე. საბჭოს შეუძლია დააარსოს მუშა ჯგუფი, თუკი ის თვლის, რომ ასეთი მუშა ჯგუფი აუცილებელია, რათა განიხილონ ასეთი ანგარიშები.

(გ) (ა) და (ბ) ქვეპუნქტებში მითითებული მუშა ჯგუფების ანგარიშებზე დაყრდნობით საბჭოს შეუძლია მიიღოს რეკომენდაციები მონაწილე მხარეებისათვის, თუკი ამას ჩათვლის აუცილებლად.

8. წევრს, რომელიც არის 1-ელ პუნქტში მითითებული ნებისმიერი შეთანხმების მონაწილე მხარე, არ შეუძლია მოითხოვოს ვაჭრობის სარგებლიანობის კომპენსაცია, რომელიც შეიძლება მიიღოს ნებისმიერმა წევრმა ასეთი შეთანხმებიდან.

მუხლი V bis

შრომის ბაზრების ინტეგრაციის შეთანხმებები

წინამდებარე შეთანხმება არ ზღუდავს მის რომელიმე წევრს იყოს შრომის ბაზრების სრული ინტეგრაციის დამფუძნებელი შეთანხმების წევრი, ასეთი შეთანხმების მონაწილე მხარეთა შორის, იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი შეთანხმება:

(ა) ათავისუფლებს შეთანხმების მონაწილე მხარეთა მოქალაქეებს ცხოვრებისა და მუშაობის ნებართვების მოთხოვნებისაგან;

(ბ) შეგყობინებულია მომსახურებით ვაჭრობის საბჭოსათვის.

მუხლი VI

შიდა რეგულირება

1. იმ სექტორებში, სადაც აღებულია სპეციფიკური ვალდებულებები, თითოეული წევრი უზრუნველყოფს, რომ მომსახურებით ვაჭრობაზე ზეგავლენის მქონე ზოგადი გამოყენების ღონისძიებები ხორციელდება გონივრული, ობიექტური და მიუკერძოებელი სახით.

2.(ა) თითოეული წევრი იყენებს, ან პრაქტიკული შესაძლებლობების ფარგლებში, რაც შეიძლება სწრაფად ქმნის სასამართლო, საარბიტრაჟო ან ადმინისტრაციულ პროცედურებს ან გრიბუნალებს, რომლებიც დამარალებული მომსახურების მიმწოდებლის თხოვნის საფუძველზე ახორციელებს მომსახურებით ვაჭრობაზე ზეგავლენის მქონე ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების დაუყოვნებლივ განხილვას და იქ, სადაც გამართლებულია, ითვალისწინებს მათი გამოსწორებისათვის საჭირო

შესაბამის ღონისძიებებს. იქ, სადაც ასეთი პროცედურები დამოუკიდებელი არ არის იმ უფლებამოსილი ორგანოსაგან, რომელიც იღებს ასეთ ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებს, წევრი უზრუნველყოფს, რომ ეს პროცედურები, პრაქტიკულად, ითვალისწინებდეს ობიექტურ და მიუკერძოებელ განხილვას.

(ბ) (ა) ქვეპუნქტის დებულებები არ გულისხმობს მოთხოვნის წევრს შექმნას ასეთი გრიბუნალები ან პროცედურები, თუ ეს არ შეესაბამება მის კონსტიტუციონალურ სტრუქტურასა და სამართლებრივი სისტემის არსს.

3. მაშინ, როდესაც უფლებამოსილება აუცილებელია იმ მომსახურების მიწოდებისათვის, რომელზეც აღებულია სპეციფიკური ვალდებულება, წევრის კომპეტენტური ორგანოები, განაცხადის გადაცემის შემდეგ, რომელიც შესრულებულია შიდა კანონებისა და ნორმატიული აქტების შესაბამისად, დროის გონივრულ პერიოდში, განმცხადებელს აცოცხლებენ გადაწყვეტილებას განაცხადთან დაკავშირებით. განმცხადებლის თხოვნის საფუძველზე, წევრის კომპეტენტური ორგანოები, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, აწოდებენ ინფორმაციას განაცხადის მდგომარეობის თაობაზე.

4. იმის უზრუნველყოფის მიზნით, რომ კვალიფიკაციის მოთხოვნებსა და პროცედურებთან, გექნიკურ სტანდარტებსა და ლიცენზირების მოთხოვნებთან დაკავშირებული ღონისძიებები არ წარმოადგენდნენ არააუცილებელ დაბრკოლებებს მომსახურებით ვაჭრობაში, მომსახურებით ვაჭრობის საბჭოს, შესაბამისი ორგანოების მეშვეობით, შეუძლია დააარსოს და განავითაროს ნებისმიერი წესები. ამ წესების მიზანია უზრუნველყოფილ იქნას, რომ ასეთი მოთხოვნები, სხვა ფაქტორებთან ერთად:

(ა) ეფუძნება ობიექტურ და საჯარო კრიტერიუმებს, როგორცაა მომსახურების მიწოდების კომპეტენცია და შესაძლებლობა;

(ბ) არ არიან უფრო მეტად დამამძიმებელი, ვიდრე ეს საჭიროა მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფისათვის;

(გ) ლიცენზირების პროცედურების შემთხვევაში, არ წარმოადგენდნენ შეზღუდვებს მომსახურების მიწოდებაზე.

5. (ა) იმ სექტორებში, სადაც წევრმა აიღო სპეციფიკური ვალდებულებები, მე-4 პუნქტის შესაბამისად, ამ სექტორებში შემუშავებული წესების ძალაში შესვლამდე, წევრი არ იყენებს ლიცენზირებისა და კვალიფიკაციის მოთხოვნებს და გექნიკურ სტანდარტებს, რომლებიც აუქმებენ ან ამცირებენ ასეთ ვალდებულებებს იმ გზით, რომელიც:

(i) არ შეესაბამება 4(ა), (ბ) ან (გ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს; და

(ii) არ შეიძლება გონივრულად ყოფილიყო მოსალოდნელი ამ წევრის მხრიდან მაშინ, როდესაც ამ სექტორებში აღებული იქნა სპეციფიკური ვალდებულებები.

(ბ) იმის განსაზღვრის დროს ასრულებს თუ არა წევრი ვალდებულებებს 5(ა) პუნქტის შესაბამისად, ყურადღება უნდა მიექცეს ამ წევრის მიერ გამოყენებულ შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების საერთაშორისო სტანდარტებს.

6. იმ სექტორებში, სადაც პროფესიულ მომსახურებასთან დაკავშირებით აღებულია სპეციფიკური ვალდებულებები, თითოეული წევრი ითვალისწინებს ადეკვატურ პროცედურებს იმისათვის, რომ შემოწმდეს სხვა რომელიმე წევრის პროფესიონალთა კომპეტენცია.

მუხლი VII
აღიარება

1. მომსახურების მიმწოდებელთა უფლებამოსილების, ლიცენზირების და სერტიფიკაციისათვის მისი სტანდარტებისა და კრიტერიუმების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულების მიზნებისათვის და მე-3 პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით, წევრს შეუძლია აღიაროს განსაზღვრულ ქვეყანაში მიღებული განათლება ან გამოცდილება, შესრულებული მოთხოვნები ან გაცემული ლიცენზიები და სერტიფიკატები. ასეთი აღიარება შეიძლება მიღწეული იყოს ჰარმონიზაციის მეშვეობით ან სხვაგვარად, შეიძლება ეფუძნებოდეს შესაბამის ქვეყანასთან მიღწეულ შეთანხმებას ან შეიძლება მიენიჭოს ცალმხრივად.

2. წევრი, რომელიც არის პუნქტში 1 მითითებული არსებული ან სამომავლო შეთანხმების მონაწილე მხარე, სხვა დაინტერესებულ წევრს აძლევს ადეკვატურ შესაძლებლობას, რათა აწარმოონ მოლაპარაკება ასეთ შეთანხმებასთან მათი მიერთების მიზნით ან აწარმოონ მოლაპარაკებები ანალოგიური სახის შეთანხმებების გაფორმების მიზნით. როდესაც წევრი აღიარებას ანიჭებს ცალმხრივად, ის ნებისმიერ დაინტერესებულ წევრს აძლევს ადეკვატური შესაძლებლობის საშუალებას მოახდინონ იმის დემონსტრირება, რომ ამ ქვეყნის გერიგორიაზე მიღებული განათლება, გამოცდილება, ლიცენზიები ან სერტიფიკატები ან შესრულებული მოთხოვნები იქნას აღიარებული.

3. წევრი არ ანიჭებს აღიარებას იმ სახით, რომელიც შექმნიდა ქვეყნებს შორის დისკრიმინაციას მისი სტანდარტების ან მომსახურების მიმწოდებლების უფლებამოსილების, ლიცენზირების ან სერტიფიკაციის კრიტერიუმების გამოყენებაში ან იქნებოდა ფარული შემლუღვა მომსახურებით ვაჭრობაში.

4. თითოეული წევრი:

(ა) მისთვის მსო-ს შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან 12 თვის განმავლობაში აცყობინებს მომსახურებით ვაჭრობის საბჭოს მასთან არსებულ აღიარების ღონისძიებებს და აცხადებს ასეთი ღონისძიებები ეფუძნება თუ არა პუნქტში 1 მითითებული გიპის შეთანხმებებს;

(ბ) წინასწარ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, დაუყონებლივ აცყობინებს მომსახურებით ვაჭრობის საბჭოს პუნქტში 1 მითითებული გიპის შეთანხმების ირგვლივ მოლაპარაკებების დაწყების შესახებ, რათა ნებისმიერ სხვა წევრს მიეცეს ადეკვატური საშუალება გამოხატონ თავიანთი ინტერესი ამ მოლაპარაკებებში მონაწილეობასთან დაკავშირებით, მანამ ისინი შევლენ მოლაპარაკებების მნიშვნელოვან სტადიაში;

(გ) დაუყონებლივ აცყობინებს მომსახურებით ვაჭრობის საბჭოს, როდესაც ის იღებს აღიარების ახალ ღონისძიებებს ან მნიშვნელოვნად ცვლის არსებულს და აცხადებს ეს ღონისძიებები ეფუძნება თუ არა პუნქტში 1 მითითებული გიპის შეთანხმებას.

5. როდესაც ეს მისაღებია, აღიარება უნდა ეფუძნებოდეს მრავალმხრივად შეთანხმებულ კრიტერიუმებს. შესაბამის შემთხვევებში, წევრები თანამშრომლობენ შესაბამის სამთავრობათაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ზოგადი საერთაშორისო სტანდარტების, აღიარებისა და შესაბამისი მომსახურებით ვაჭრობისა და პროფესიების პრაქტიკისათვის ზოგადი სტანდარტებისა და კრიტერიუმების დაარსებისა და მიღების მიზნით.

მუხლი VIII

მონოპოლიები და მომსახურების ექსკლუზიური მიმწოდებლები

1. თითოეული წევრი უზრუნველყოფს, რომ მის ტერიტორიაზე მომსახურების ნებისმიერი მონოპოლისტი მიმწოდებელი შესაბამის ბაზარზე მომსახურების მიწოდებისას მოქმედებს ამ წევრის მიერ II მუხლის ვალდებულებებისა და სპეციფიკური ვალდებულებების შესაბამისად.

2. როდესაც წევრის მონოპოლისტი მიმწოდებელი კონკურირებს პირდაპირ ან შვილობილი კომპანიის მეშვეობით, მისი მონოპოლისტური უფლებების გარეთ მომსახურების მიწოდებისას, რომელიც ექვემდებარება ამ წევრის სპეციფიკურ ვალდებულებებს, წევრი უზრუნველყოფს, რომ ასეთმა მონოპოლისტმა ბოროტად არ გამოიყენოს მისი მონოპოლისტური მდგომარეობა იმოქმედოს მის ტერიტორიაზე ასეთი ვალდებულებების დაცვის გარეშე.

3. წევრის თხოვნის საფუძველზე, რომელსაც აქვს საფუძველი ჩათვალოს, რომ ნებისმიერი სხვა წევრის მომსახურების მონოპოლისტი მიმწოდებელი მოქმედებს 1-ელ და მე-2 პუნქტებთან შეუსაბამობაში, მომსახურებით ვაჭრობის საბჭოს შეუძლია თხოვოს წევრს, რომელიც აფუძნებს, ინარჩუნებს და უფლებამოსილს ხდის ასეთ მიმწოდებელს, მიაწოდოს სპეციფიკური ინფორმაცია შესაბამისი საქმიანობების შესახებ.

4. თუ მსო-ს შეთანხმების ძალაში შესვლის დღის შემდეგ წევრი ანიჭებს მონოპოლიის უფლებას მისი სპეციფიკური ვალდებულებების შესაბამისი მომსახურების მიწოდებაზე, მაშინ ეს წევრი აცხადებს მომსახურებით ვაჭრობის საბჭოს მონოპოლიის უფლების მინიჭების განხორციელებამდე არაუგვიანეს 3 თვით ადრე, და გამოიყენება XXI მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები.

5. წინამდებარე მუხლის დებულებები, ასევე, ეხება მომსახურების ექსკლუზიური მიმწოდებლების შემთხვევებსაც, როდესაც წევრი ფორმალურად ან ფაქტიურად (ა) უფლებამოსილს ხდის ან აფუძნებს მომსახურების მიმწოდებელთა მცირე რაოდენობას და (ბ) მნიშვნელოვნად ზღუდავს მის ტერიტორიაზე მათ შორის კონკურენციას.

მუხლი IX

საქმიანი პრაქტიკა

1. წევრები აღიარებენ, რომ მომსახურების მიმწოდებელთა ცალკეულმა საქმიანმა პრაქტიკამ, გარდა იმ კატეგორიისა, რომელზეც ვრცელდება VIII მუხლი, შესაძლოა ხელი შეუშალოს კონკურენციას და ამით შეზღუდოს მომსახურებით ვაჭრობა.

2. ნებისმიერი სხვა წევრის თხოვნის საფუძველზე, წევრი შედის კონსულტაციებში პუნქტში 1 მითითებული პრაქტიკის აღმოფხვრის მიზნით. წევრი, რომელსაც მიმართეს თხოვნით, სრული ყურადღებით და კეთილგანწყობით ეკიდება ასეთ თხოვნას და თანამშრომლობს საჭირო საკითხთან დაკავშირებული შესაბამისი -

საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი არაკონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდების გზით. წევრი, რომელსაც მიმართეს თხოვნით, ასევე აწვდის მთხოვნელ წევრს მის ხელთ არსებულ სხვა შესაბამის ინფორმაციას, რომელიც ექვემდებარება მის შიდა კანონმდებლობას და მთხოვნელ წევრთან, მის მიერ ამ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ, მიღწეულ დამაკმაყოფილებელ შეთანხმებას.

მუხლი X

გადაუღებელი დაცვითი ზომები

1. არადისკრიმინაციულ პრინციპზე დაფუძნებულ გადაუღებელ დაცვითი ზომების საკითხზე გაიმართება მრავალმხრივი მოლაპარაკებები. ასეთი მოლაპარაკებების შედეგები ძალაში შევა მსო-ს შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან არაუგვიანეს 3 წლის განმავლობაში.

2. პუნქტში 1 მითითებული მოლაპარაკებების შედეგების ძალაში შესვლამდე ნებისმიერ წევრს, მიუხედავად XXI მუხლის პუნქტის 1 დებულებებისა, შეუძლია შეაგყობინოს მომსახურებით ვაჭრობის საბჭოს თავისი განზრახვა სპეციფიკური ვალდებულებების უკან გამოთხოვის ან შეცვლის თაობაზე, ვალდებულებების ძალაში შესვლის დღიდან 1 წლის შემდეგ, იმის გათვალისწინებით, რომ წევრი აჩვენებს საბჭოს იმის მიზეზს, რომ ცვლილება ან უკან გამოთხოვა არ შეიძლება გადაიღოს 3 წლით, როგორც გათვალისწინებულია XXI მუხლის პუნქტში 1.

3. პუნქტის 2 დებულებები წყვეტს გამოყენებას მსო-ს შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან 3 წლის შემდეგ.

მუხლი XI

ანგარიშსწორებები და გადარიცხვები

1. მუხლით XII გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, წევრი არ იყენებს შემლუღვეს გადარიცხვებსა და ანგარიშსწორებებზე იმ მიმდინარე გარიგებებისათვის, რომლებიც უკავშირდება მის სპეციფიკურ ვალდებულებებს.

2. არაფერი წინამდებარე შეთანხმებაში არ ახდენს ზეგავლენას საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრების უფლებებსა და ვალდებულებებზე ფონდის შეთანხმების მუხლების შესაბამისად, იმ სავალუტო ოპერაციების გამოყენების ჩათვლით, რომლებიც შეესაბამება შეთანხმების მუხლებს, იმ პირობით, რომ წევრი არ აწესებს შემლუღვეს კაპიტალის ოპერაციებზე, რომლებიც არ შეესაბამება მის სპეციფიკურ ვალდებულებებს, გარდა მუხლის XII შესაბამისად და ფონდის მიერ გაკეთებული თხოვნისა.

მუხლი XII

შემლუღვეები საგადამხდელო ბალანსის დასაცავად

1. საგადამხდელო ბალანსის სერიოზული პრობლემებისა და საგარეო ფინანსური სიძნელეების, ან ამის საშიშროების შემთხვევაში, წევრს შეუძლია შემოიღოს და განახორციელოს შემლუღვეები მომსახურებით ვაჭრობაზე, რომელმაც მან აიღო

სპეციფიკური ვალდებულებები, ასეთ ვალდებულებებთან დაკავშირებული ანგარიშსწორებისა და გადარიცხვების გარიგებების ჩათვლით. აღიარებულია, რომ ეკონომიკური განვითარების ან გარდამავალი ეკონომიკის პროცესებში წევრის საგადამხდელო ბალანსზე განსაკუთრებულმა დაწოლამ შეიძლება გამოიწვიოს შეზღუდვების გამოყენების აუცილებლობა, რათა სხვა ფაქტორებთან ერთად, უზრუნველყოფილი იქნეს მისი ეკონომიკური განვითარებისა და გარდამავალი ეკონომიკის პროგრამების განხორციელებისათვის ადეკვატური ფინანსური რემედიების ღონის შენარჩუნება.

2. პუნქტში 1 მითითებული შეზღუდვები:

- (ა) არ არის დისკრიმინაციული წევრებს შორის;
- (ბ) შეესაბამება საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეთანხმების მუხლებს;
- (გ) თავიდან იცილებს ნებისმიერი სხვა წევრის კომერციული, ეკონომიკური და ფინანსური ინტერესებისათვის არა-აუცილებელ ზიანს;
- (დ) არ აღემატება იმ შეზღუდვებს, რომლებიც საკმარისია პუნქტში 1 აღწერილი შემთხვევების დროს;
- (ე) არის ღრობითი და თანმიმდევრულად უქმდება პუნქტში 1 აღწერილი მდგომარეობის გაუმჯობესების შემთხვევაში;

3. ამგვარი შეზღუდვების მოქმედების სფეროს განსაზღვრის დროს, წევრებს შეუძლიათ პრიორიტეტი მიანიჭონ იმ მომსახურების მიწოდებას, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია მათი ეკონომიკური და განვითარების პროგრამებისათვის. თუმცა ამგვარი შეზღუდვების მიღება ან განხორციელება არ უნდა ხდებოდეს გარკვეული მომსახურების სექტორის დაცვის მიზნით.

4. პუნქტის 1 შესაბამისად მიღებული ან განხორციელებული ნებისმიერი შეზღუდვა, ან ნებისმიერი ცვლილება დაუყონებლივ უნდა ეცნობოს გენერალურ საბჭოს.

5. (ა) იმ წევრებმა, რომლებიც იყენებენ ამ მუხლის დებულებებს, დაუყონებლივ უნდა აწარმოონ კონსულტაციები საგადამხდელო ბალანსის მიზნით შეზღუდვების კომიტეტთან ამ მუხლის შესაბამისად მიღებულ შეზღუდვებთან დაკავშირებით.

(ბ) მინისტრთა კონფერენცია აყალიბებს პერიოდული კონსულტაციების პროცედურებს, რაც საშუალებას მისცემს შესაბამისი წევრისათვის იმ რეკომენდაციების გაკეთებას, რომელსაც ის ჩათვლის აუცილებლად.

(გ) ასეთი კონსულტაციები აფასებს შესაბამისი წევრის საგადამხდელო ბალანსის მდგომარეობას და ამ მუხლის შესაბამისად მიღებულ ან განხორციელებულ შეზღუდვებს, სხვა ფაქტორებთან ერთად ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორცაა:

(i) საგადამხდელო ბალანსისა და საგარეო ფინანსური სიძნელეების ხასიათი და ხარისხი;

(ii) კონსულტაციებში მყოფი წევრის საგარეო ეკონომიკური და სავაჭრო მდგომარეობა;

(iii) შესაძლო ალტერნატიული მაკორექტირებელი ღონისძიებები.

(დ) კონსულტაციები ეძღვნება ნებისმიერი შეზღუდვის პუნქტთან შესაბამისობის განსაზღვრას, განსაკუთრებით კი, პუნქტის 2 შესაბამისად შეზღუდვების თანმიმდევრულ გაუქმებას.

(ე) ასეთი კონსულტაციების დროს მიიღება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ

მოწოდებული ყოველგვარი სტატისტიკური და სხვა ფაქტების შესახებ მონაცემები, რომლებიც ეხება უცხოურ ვალუტას, სავალუტო რეზერვებს და საგადასახდებლო ბალანსს, და გადაწყვეტილებები ეფუძნება სავალუტო ფონდის შეფასებებს კონსულტაციებში მყოფი წევრის საგადასახდებლო ბალანსისა და საგარეო ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

6.თუ წევრს, რომელიც არ არის საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი, სურს გამოიყენოს ამ მუხლის დებულებები, მაშინ მინისტრთა კონფერენცია აყალიბებს განხილვის პროცედურას და სხვა აუცილებელ პროცედურებს.

მუხლი XIII

სამთავრობო შესყიდვები

1.მუხლები II, XVI და XVII არ გამოიყენება იმ კანონების, ნორმატიული აქტებისა და მოთხოვნების მიმართ, რომლებიც არეგულირებენ სამთავრობო ორგანოების მიერ სამთავრობო მიზნებისათვის მომსახურების შეძენას და არა-კომერციული გადაყიდვის ან გადაყიდვის მიზნებისათვის მომსახურების მიწოდებას.

2.მსო-ს შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან 2 წლის განმავლობაში, წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად, მომსახურებაში სამთავრობო შესყიდვებთან დაკავშირებით, გაიმართება მრავალმხრივი მოლაპარაკებები.

მუხლი XIV

ზოგადი გამორიცხვები

იმ პირობით, რომ ასეთი ღონისძიებები არ იქნება გამოყენებული იმ სახით, რომელიც შექმნიდა თვითნებური და გაუმართლებელი დისკრიმინაციის საშუალებას იმ ქვეყნებს შორის, სადაც არსებობს მსგავსი პირობები, და არ იქნებოდა ფარული შეზღუდვა მომსახურებით ვაჭრობაში, არაფერი წინამდებარე შეთანხმებაში არ გულისხმობს შეზღუდოს ნებისმიერი წევრი მიიღოს და განახორციელოს ღონისძიებები, რომლებიც:

(ა) აუცილებელია საზოგადოებრივი მორალის დაცვისათვის ან საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებისათვის;

(ბ) აუცილებელია, რათა დაცული იქნეს ადამიანის, ცხოველის ან მცენარის სიცოცხლე ან ჯანმრთელობა;

(გ) აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისობა კანონებთან ან ნორმატიულ აქტებთან, რომლებიც არის წინამდებარე შეთანხმების დებულებების შესაბამისი, იმ დებულებების ჩათვლით, რომლებიც ეხება:

(i) გაუგებრობის შემქმნელი და არაკეთილსინდისიერი პრაქტიკის აღკვეთას ან მომსახურების კონტრაქტების შეუსრულებლობის შედეგებთან ბრძოლას;

(ii) ინდივიდუალურ პირთა ცხოვრებაში ჩაურევლობის დაცვას, პერსონალური მონაცემების გადამუშავებისა და გავრცელების მიმართებით და ცალკეული ჩანაწერებისა და ანგარიშების კონფიდენციალურობის დაცვას;

(iii) უსაფრთხოებას;

(დ) არ შეესაბამება XVII მუხლს, იმ პირობით, რომ რეჟიმებს შორის განსხვავება გამიზნულია, მომსახურებასთან ან სხვა წევრის მომსახურების მიწოდებულთან მიმართებით, პირდაპირი გადასახადების თანაბრად და ეფექტურად დაწესების ან მოკრების უზრუნველსაყოფად;

(ე) არ შეესაბამება II მუხლს, იმ პირობით, რომ რეკიმებს შორის განსხვავება წარმოადგენს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმების ან სხვა საერთაშორისო შეთანხმებაში ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ იმ დებულებების შედეგა, რომლის შესრულების ვალდებულებაც ალებული აქვს წევრს.

მუხლი XIV bis

უსაფრთხოების მიზნით გაკეთებული გამორიცხვები

1. არაფერი წინამდებარე შეთანხმებაში არ გულისხმობს:

(ა) მოთხოვოს ნებისმიერ წევრს მიაწოდოს რაიმე ინფორმაცია, რომელსაც იგი თვლის, რომ მისი გამჟღავნება ეწინააღმდეგება ამ წევრის უსაფრთხოების უმთავრეს ინტერესებს; ან

(ბ) შეზღუდოს ნებისმიერი წევრი ისეთი ღონისძიებების მიღებისაგან, რომლებსაც იგი აუცილებელს თვლის მისი უსაფრთხოების უმთავრესი ინტერესების დაცვისათვის:

(i) რომლებიც ეხება მომსახურების მიწოდებას, რომელიც პირდაპირ ან ირიბად ხორციელდება სამხედრო დაწესებულების მომარაგების მიზნით;

(ii) რომლებიც ეხება გახლეჩად და თერმობირთვულ მასალებს ან იმ მასალებს, რომლისგანაც ისინი მიიღება;

(iii) რომლებიც გაგარებულია ომის ან საერთაშორისო ურთიერთობებში შექმნილი საგანგებო მდგომარეობის დროს; ან

(გ) შეზღუდოს რომელიმე წევრი მიიღოს ზომები საერთაშორისო მშვიდობის და უსაფრთხოების შენარჩუნებისათვის გაეროს წესდებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად.

2. მომსახურებით ვაჭრობის საბჭოს, მაქსიმალურად შესაძლო ფორმით, უნდა ეცნობოს პუნქტის 1 (ბ) და (გ) შესაბამისად გაგარებული ღონისძიებებისა და მათი დასრულების შესახებ.

მუხლი XV

სუბსიდიები

1. წევრები აღიარებენ, რომ გარკვეულ შემთხვევებში სუბსიდიებმა შეიძლება მიანის მომგანი შედეგები იქონიონ მომსახურებით ვაჭრობაზე. წევრები შედიან მოლაპარაკებებში, რათა შემუშავებული იქნეს ასეთი საზიანო შედეგებისაგან თავის აცილებისათვის აუცილებელი მრავალმხრივი წესები. მოლაპარაკებები, ასევე შეეხება მაკომპენსირებელი პროცედურების გამოყენების მართებულობას. ასეთი მოლაპარაკებები აღიარებს სუბსიდიების როლს განვითარებადი ქვეყნების განვითარების პროგრამებში და მხედველობაში იღებს წევრი ქვეყნების, განსაკუთრებით განვითარებადი წევრი ქვეყნების საჭიროებებს, ამ სფეროში გარკვეული მოქნილობის არსებობის მიმართებით. ასეთი მოლაპარაკებების მიზნებისათვის წევრების ცვლიან ინფორმაციას მომსახურებით ვაჭრობასთან დაკავშირებული ყოველგვარი სუბსიდიების შესახებ, რომლებსაც ისინი აძლევენ მათ ადგილობრივ მომსახურების მიმწოდებლებს.

2. ნებისმიერ წევრს, რომელიც ფიქრობს, რომ სხვა წევრის მიერ გაკეთებული სუბსიდია მასზე ახდენს საზიანო ზეგავლენას, შეუძლია ითხოვოს კონსულტაციების ჩაგარება ამ

წევრთან ასეთ საკითხებთან დაკავშირებით. ამგვარ თხოვნებს ეკიდებიან კეთილგანწყობით.

ნაწილი III

სპეციფიკური ვალდებულებები

მუხლი XVI

ბაზარზე დაშვება

1. I მუხლში განმარტებული მიწოდების სახეების საშუალებით ბაზარზე დაშვებასთან მიმართებით, თითოეული წევრი სხვა წევრის მომსახურებას ან მომსახურების მიმწოდებლებს ანიჭებს იმაზედ არანაკლებ ხელსაყრელ რეჟიმს, როგორც ეს გათვალისწინებულია იმ პირობებითა და შეზღუდვებით, რომლებიც შეთანხმებულია და განმარტებულია მის ცხრილში.

2. იმ სექტორებში, სადაც აღებულია ბაზარზე დაშვების ვალდებულებები, ღონისძიებები, რომლებსაც წევრი არ იყენებს ან არ იღებს რეგიონული დაყოფის ან მისი მთლიანი გერიგორიის საფუძველზე, თუკი სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული მის ცხრილში, განისაზღვრება, როგორც:

(a) შეზღუდვები, მომსახურების მიმწოდებელთა რაოდენობაზე, რაოდენობრივი კვოტების, მონოპოლიების, მომსახურების ექსკლუზიური მიმწოდებლების ან ეკონომიკური საჭიროების დადასტურების მოთხოვნების ფორმით;

(b) შეზღუდვები მომსახურებით ვაჭრობის გარიგების ან კაპიტალის საერთო მოცულობაზე, რაოდენობრივი კვოტების ან ეკონომიკური საჭიროების დადასტურების მოთხოვნების ფორმით;

(c) შეზღუდვები, რომლებიც გამოხატულია დაწესებული ციფრობრივი ერთეულებით კვოტებისა და ეკონომიკური საჭიროების დადასტურების მოთხოვნების ფორმით მომსახურების ოპერაციების საერთო რიცხვზე ან წარმოებული მომსახურების საერთო რაოდენობაზე;

(d) შეზღუდვები რაოდენობრივი კვოტების ან ეკონომიკური საჭიროების დადასტურების მოთხოვნების ფორმით იმ ფიზიკურ პირთა საერთო რაოდენობაზე, რომლებიც შეიძლება დასაქმებულნი იყვნენ მომსახურების გარკვეულ სექტორში ან რომლებიც შეიძლება დაიქირავოს მომსახურების მიმწოდებელმა და რომლებიც აუცილებელი არიან და პირდაპირ არიან დაკავშირებულნი სპეციფიკური მომსახურების მიწოდებასთან,;

(e) ღონისძიებები, რომლებიც გლუდავენ ან მოითხოვენ იურიდიული ერთეულის სპეციფიკურ ფორმებს ან ერთობლივ საწარმოებს, რომელთა მეშვეობითაც მომსახურების მიმწოდებელს შეუძლია მიაწოდოს მომსახურება; და

(f) შეზღუდვები უცხოური კაპიტალის მონაწილეობაზე, სააქციონერო კაპიტალში ან კერძო ან ერთიანი უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობაში უცხოური კაპიტალის პროცენტული ზღვარის სახით.

მუხლი XVII

ეროვნული რეჟიმი

1. მის ცხრილში არსებულ სექტორებში და მასში განსაზღვრული საერთო პირობებისა და კვალიფიკაციის პირობების გათვალისწინებით, თითოეული წევრი სხვა ნებისმიერი

წევრის მომსახურებასა და მომსახურების მიმწოდებლებს, მომსახურების მიწოდებაზე ზეგავლენის მქონე ყოველგვარ ღონისძიებებთან დაკავშირებით, ანიჭებს იმაზედ არანაკლებ ხელსაყრელ რეჟიმს, რომელსაც ის ანიჭებს თავის საკუთარ მსგავს მომსახურებას ან მომსახურების მიმწოდებლებს.

2. წევრს შეუძლია დააკმაყოფილოს პუნქტის 1 მოთხოვნა სხვა ნებისმიერი წევრის მომსახურებისა და მომსახურების მიმწოდებლებისათვის ისეთი ფორმალურად ანალოგიური ან ფორმალურად განსხვავებული რეჟიმის მინიჭებით, რომელსაც ის ანიჭებს მის საკუთარ მსგავს მომსახურებას ან მომსახურების მიმწოდებლებს.

3. ფორმალურად ანალოგიური ან ფორმალურად განსხვავებული რეჟიმი განიხილება ნაკლებად ხელსაყრელად, თუ ის ცვლის კონკურენციის პირობებს წევრის მომსახურებისა და მომსახურების მიმწოდებლების სასარგებლოდ სხვა ნებისმიერი წევრის მსგავს მომსახურებასა და მომსახურების მიმწოდებლებთან შედარებით.

მუხლი XVIII

დამატებითი ვალდებულებები

წევრებს შეუძლიათ მოილაპარაკონ იმ ვალდებულებების შესახებ, რაც უკავშირდება მომსახურებით ვაჭრობაზე ზეგავლენის მქონე ღონისძიებებს და რომლებიც არ შეესაბამება მუხლების XVI ან XVII ვალდებულებებს კვალიფიკაციების, სტანდარტების ან ლიცენზირების საკითხებზე. ასეთი ვალდებულებები უნდა აისახოს წევრის განაწესში

ნაწილი IV

თანმიმდევრული ლიბერალიზაცია

მუხლი XIX

მოლაპარაკება სპეციფიკურ ვალდებულებებზე

1. წინამდებარე შეთანხმების მიზნების მიღწევისათვის, წევრები აგარებენ მოლაპარაკებების შემდგომ რაუნდებს, არაუგვიანეს 5 წლისა მსო-ს შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან და პერიოდულად აგრძელებენ ამ მოლაპარაკებებს ლიბერალიზაციის შესაძლო მაქსიმალური ღონის მიღწევის მიზნით. ასეთი მოლაპარაკებები მიმართულია მომსახურებით ვაჭრობაში ხელისშემშლელი ფაქტორების აღმოფხვრისა და შემცირებისაკენ, რაც იძლევა ბაზარზე დაშვების საშუალებას. ეს პროცესი მიმდინარეობს ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე, ყველა მონაწილის ინტერესების ხელის შეწყობისა და უფლებებისა და ვალდებულებების საერთო ბალანსის უზრუნველყოფის მიზნით.

2. ლიბერალიზაციის პროცესი მიმდინარეობს ზოგად და გარკვეულ სექტორებში, ცალკეული ქვეყნების სახელმწიფო პოლიტიკის მიზნებისა და განვითარების ღონის შესაბამისი გათვალისწინებით. ცალკეული განვითარებადი ქვეყნებისათვის, მათ მიერ რამდენიმე სექტორის გახსნის და გარიგებების რამდენიმე სახეობის ლიბერალიზების მიმართებით გათვალისწინებულია შესაბამისი მოქნილობა, ამასთან თანმიმდევრულად მოხდება მათი ბაზარზე დაშვება მათი განვითარების მდგომარეობის შესაბამისად და მაშინ, როდესაც უცხოელი მომსახურების მიმწოდებლებისათვის ისინი ხელმისაწვდომს გახდიან მათ ბაზრებზე დაშვებას, თუ ასეთი დაშვების პირობები გამიზნულია მუხლში IV მითითებული მიზნების მისაღწევად.

3. თითოეული რაუნდისათვის დგინდება მოლაპარაკებების მეთოდოლოგიები და პროცედურები. ასეთი მეთოდოლოგიების დადგენის მიზნით, მომსახურებით ვაჭრობის საბჭო ახდენს მომსახურებით ვაჭრობის შეფასებას საერთო პირობებსა და სექტორებზე დაყრდნობით, წინამდებარე შეთანხმების მიზნების გათვალისწინებით, მუხლის IV პუნქტში 1 განსაზღვრული დებულებების ჩათვლით. მოლაპარაკებების მეთოდოლოგია აყალიბებს წინა მოლაპარაკებებიდან წევრის მიერ ცალმხრივად გაკეთებული ლიბერალიზაციის შეფასების კრიტერიუმებს, მათ შორის ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის სპეციალური რეჟიმის მიმართებით, მუხლი IV პუნქტი 3-ის შესაბამისად.

4. თანმიმდევრული ლიბერალიზაციის პროცესი შეიძლება დაჩქარდეს ყოველი ასეთი რაუნდის დროს ორმხრივი, ჯგუფური და მრავალმხრივი მოლაპარაკებების საშუალებით, რომლებიც მიმართულია წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად წევრების მიერ ნაკისრი სპეციფიკური ვალდებულებების საერთო დონის გაზრდისაკენ.

მუხლი XX

სპეციფიკურ ვალდებულებათა განაწესი

1. თითოეული წევრი განაწესში აფიქსირებს სპეციფიკურ ვალდებულებებს, რომლებსაც ის იღებს წინამდებარე შეთანხმების III ნაწილის შესაბამისად. რაც შეეხება იმ სექტორებს, სადაც ასეთი ვალდებულებებია აღებული, თითოეული განაწესი განმარტავს:

- (ა) ბაზარზე დაშვების პირობებსა და შეზღუდვებს;
- (ბ) ეროვნულ რეჟიმთან დაკავშირებულ პირობებსა და კვალიფიკაციებს;
- (გ) დამატებითი ვალდებულებების აღებას;
- (დ) იქ სადაც საჭიროა, ასეთი ვალდებულებების განხორციელების განრიგს;
- (ე) ასეთი ვალდებულებების ძალაში შესვლის თარიღს.

2. ღონისძიებები, რომლებიც არ შეესაბამება მუხლებს XVI და XVII, შეიგანება იმ გრაფაში, რომელიც ეხება მუხლს XVI. ამ შემთხვევაში, ეს ჩანაწერი განსაზღვრავს მუხლთან XVII დაკავშირებულ პირობებსა და კვალიფიკაციებს.

3. სპეციფიკურ ვალდებულებათა განაწესი თან ერთვის წინამდებარე შეთანხმებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი XXI

განაწესი მოდიფიკაცია

1. (ა) წევრს (ხსენებული ამ მუხლში, როგორც 'შემცვლელი წევრი') შეუძლია, ამ მუხლის დებულებების შესაბამისად, მის განაწესში შეცვალოს ან უკან გამოითხოვოს ნებისმიერი ვალდებულება, ამ ვალდებულებების ძალაში შესვლიდან 3 წლის გასვლის შემდეგ ნებისმიერ დროს.

(ბ) შემცვლელი წევრი, ამ მუხლის შესაბამისად, ცვლილების ან უკან გამოითხოვის განხორციელების სავარაუდო დღემდე არანაკლებ 3 თვით ადრე, მომსახურებით ვაჭრობის საბჭო აცყობინებს თავის განზრახვას ვალდებულების შეცვლასთან ან უკან გამოითხოვასთან დაკავშირებით.

2. (ა) ნებისმიერი წევრის თხოვნის საფუძველზე, რომლის სარგებლიანობა წინამდებარე შეთანხმების მიხედვით შეიძლება დაზარალებდეს (ამ მუხლში ხსენებული, როგორც

‘ღაზარალეული წევრი’) შესაძლო ცვლილების ან უკან გამოთხოვის გამო, რომელიც შეგყობინებულია 1(ბ) ქვეპუნქტის მიხედვით, შემცვლელი წევრი მოლაპარაკებაში შედის აუცილებელი მაკომპენსირებელი საშუალებების შეთანხმების მიზნით. ასეთ მოლაპარაკებებსა და შეთანხმებაში მყოფი წევრები მიისწრაფვიან შეინარჩუნონ ურთიერთსარგებლიანობის მქონე ვალდებულებების საერთო ღონე, ვაჭრობისათვის არა იმაზედ ნაკლებად ხელსაყრელი, ვიდრე ეს გათვალისწინებულია სპეციფიკური ვალდებულებების განაწესში, ამგვარი მოლაპარაკებების დაწყებამდე.

(ბ) მაკომპენსირებელი საშუალებები ეფუძნება უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს.

3.(ა) თუ შემცვლელ წევრსა და ღაზარალეულ წევრს შორის ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა მოლაპარაკებებით განსაზღვრული დროის მონაკვეთში, მაშინ ღაზარალეულ წევრს შეუძლია საქმე გადასცეს არბიტრაჟს. ნებისმიერი ღაზარალეული წევრი, რომელსაც სურს გამოიყენოს კომპენსაციის უფლება, მონაწილეობა უნდა მიიღოს არბიტრაჟში.

(ბ) თუ რომელიმე ღაზარალეულმა წევრმა არ მოითხოვა არბიტრაჟი, შემცვლელ წევრს თავისუფლად შეუძლია განახორციელოს მოსალოდნელი მოდიფიკაცია ან უკან გამოთხოვა.

4.(ა) შემცვლელ წევრს არ შეუძლია შეცვალოს ან უკან გამოითხოვოს ვალდებულება, მანამ, სანამ არ მოახდენს კომპენსაციას არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად.

(ბ) თუ შემცვლელი წევრი მოსალოდნელ ცვლილების ან უკან გამოთხოვის დროს არ იცავს არბიტრაჟის გადაწყვეტილებებს, ნებისმიერ ღაზარალეულ წევრს, რომელიც მონაწილეობდა არბიტრაჟში, შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს ან უკან გამოითხოვოს შესაბამისი სარგებლიანობის მქონე ვალდებულებები ამ გადაწყვეტილებების შესაბამისად. მუხლის II მიუხედავად, ასეთი ცვლილება ან უკან გამოთხოვა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ასეთი შემცვლელი წევრის მიმართ.

5. მომსახურებით ვაჭრობის საბჭო აყალიბებს განაწესის გასწორების ან შეცვლის პროცედურებს. ნებისმიერი წევრი, რომელმაც ამ მუხლის შესაბამისად შეცვალა ან გამოითხოვა ვალდებულებები, ცვლის მის განაწესს ასეთი პროცედურების შესაბამისად.

ნაწილი V

ინსტიტუციონალური დებულებები

მუხლი XXII

კონსულგაციები

1. თითოეული წევრი კეთილგანწყობით ეკიდება და შესაბამის პირობებს უქმნის კონსულგაციების ჩაგარებას იმ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომლებიც შეიძლება გაგარებულ იქნას წევრის მიერ ნებისმიერ იმ საკითხთან მიმართებით, რომლებიც ზეგავლენას ახდენს წინამდებარე შეთანხმების მოქმედებაზე. ასეთი კონსულგაციების დროს გამოიყენება შეთანხმება დავების მოგვარების შესახებ (DSU).

2. მომსახურებით ვაჭრობის საბჭოს ან დავების მოგვარების ორგანოს (DSB), წევრის თხოვნის საფუძველზე, შეუძლია ჩააგაროს კონსულგაციები ნებისმიერ წევრთან ან წევრებთან იმ ნებისმიერ საკითხზე, რომელზეც პუნქტის 1 შესაბამისად,

კონსულგაციების ჩაგარების საშუალებით შეუძლებელი გახდა დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილების მიღება.

3.წევრს შეუძლია არ გამოიყენოს მუხლი XVII, ამ მუხლის ან მუხლი XXIII-ის შესაბამისად, სხვა წევრის მიერ გატარებული ღონისძიების მიმართ, რომელიც ხვდება მათ შორის ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმების მოქმედების სფეროში. წევრებს შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში, წევრს შეუძლია საკითხი დასვას მომსახურებით ვაჭრობის საბჭოს წინაშე და იმის შესახებ აღნიშნული ღონისძიება ხვდება თუ არა ასეთი შეთანხმების მოქმედების სფეროში. საბჭო საქმეს გადასცემს არბიტრაჟს. საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და სავალდებულოა წევრებისათვის.

მუხლი XXIII

დავების მოგვარება და განხორციელება

1.თუკი რომელიმე წევრი თვლის, რომ სხვა წევრი, წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად, არ ასრულებს მის საერთო და სპეციფიკურ ვალდებულებებს, მას შეუძლია ამ საკითხთან დაკავშირებით, ურთიერთდამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილების მიღწევის მიზნით, გამოიყენოს დავების მოგვარების შესახებ შეთანხმება.

2.თუ დავების მოგვარების ორგანო თვლის, რომ არის სერიოზული პირობები ასეთი ქმედების გამართლებისათვის, მას შეუძლია უფლებამოსილება მისცეს წევრს ან წევრებს შეაჩერონ სხვა წევრის ან წევრების მიმართ საერთო ან სპეციფიკური ვალდებულებების გამოყენება, დავების მოგვარების შესახებ შეთანხმების მუხლის XXII შესაბამისად.

3.თუკი წევრი თვლის, რომ ის ნებისმიერი სარგებელი, რომლის მიღებასაც ის გონივრულად ელოდებოდა სხვა წევრის სპეციფიკური ვალდებულებებიდან წინამდებარე შეთანხმების III ნაწილის შესაბამისად, ბათილდება ან მცირდება ისეთი ნებისმიერი ღონისძიების გამოყენების შედეგად, რომელიც წინააღმდეგობაში არ არის წინამდებარე შეთანხმების დებულებებთან, მას შეუძლია გამოიყენოს შეთანხმება დავების მოგვარების შესახებ. თუ დავების მოგვარების ორგანო ცნობს, რომ ასეთი ღონისძიებები აბათილებს ან ამცირებს ასეთ სარგებელს, მაშინ დაზარალებულ წევრს ნება ეძლევა გამოიყენოს ურთიერთდამაკმაყოფილებელი ღონისძიებები მუხლის XX პუნქტის 2 შესაბამისად, რომელიც შეიძლება შეიცავდეს ღონისძიების შეცვლას ან გამოთხოვას. თუ დაინგერესებულ წევრებს შორის არ შეიძლება მიღწეულ იქნას შეთანხმება, მაშინ გამოიყენება დავების მოგვარების შესახებ შეთანხმების მუხლი XX.

მუხლი XXIV

მომსახურებით ვაჭრობის საბჭო

1.მომსახურებით ვაჭრობის საბჭო ახორციელებს იმ ფუნქციებს, რომლებიც შეიძლება მას მიენიჭოს წინამდებარე შეთანხმების მოქმედებისა და მისი მიზნების მიღწევის მიზნით, საბჭოს შეუძლია დააარსოს ისეთი დამხმარე ორგანოები, როგორცაა ის თვლის საჭიროდ, მისი ფუნქციების ეფექტური განხორციელების მიზნით.

2.საბჭო და, თუ ამას საბჭო სხვაგვარად გადაწყვეტს, მისი დამხმარე ორგანოები ღია ყველა წევრის წარმომადგენლების მონაწილეობისათვის.

3.საბჭოს თავმჯდომარის არჩევა ხდება წევრების მიერ.

მუხლი XXV

ტექნიკური თანამშრომლობა

1. იმ წევრების მომსახურების მიმწოდებლებს, რომლებსაც ესაჭიროებათ ამგვარი დახმარება, აქვთ შეღწევალობა მუხლის IV პუნქტში 2 მითითებული საკონტაქტო ცენტრების მომსახურებაზე.

2. განვითარებადი ქვეყნებისათვის ტექნიკური დახმარების საკითხს განიხილავს სამდივნო მრავალმხრივი განხილვის საფუძველზე და გადაწყვეტილებას იღებს მომსახურებით ვაჭრობის საბჭო.

მუხლი XXVI

სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა

გენერალური საბჭო ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს გაეროსა და მის სპეციალიზირებულ სააგენტოებთან, ასევე მომსახურებასთან დაკავშირებულ სხვა სამთავრობათაშორისო ორგანიზაციებთან კონსულტაციებისა და თანამშრომლობის მიზნით.

ნაწილი VI

დასკვნითი დებულებები

მუხლი XXVII

სარგებელზე უარის თქმა

წევრს შეუძლია წინამდებარე შეთანხმებიდან მიღებულ სარგებელზე უარის თქმა:

(ა) მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებით, თუ ის აღგენს, რომ მომსახურება მიეწოდება არა-წევრის ტერიტორიიდან ან ტერიტორიაზე ან იმ წევრის მიერ, რომლის მიმართაც უარის მთქმელი წევრი არ იყენებს მსო-ს შეთანხმებას;

(ბ) საზღვაო გრანსპორტის მომსახურების მიწოდების შემთხვევაში, თუ ის აღგენს, რომ მომსახურება მიეწოდება:

(i) არა-წევრი ქვეყნის მიერ ან იმ წევრი ქვეყნის კანონმდებლობით რეგისტრირებული გემების მიერ, რომლის მიმართაც უარის მთქმელი წევრი არ იყენებს მსო-ს შეთანხმებას, და

(ii) პირის მიერ, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ მართავს და/ან იყენებს გემებს, რომლებიც ეკუთვნის არა-წევრ ქვეყანას ან იმ წევრს, რომლის მიმართაც უარის მთქმელი წევრი არ იყენებს მსო-ს შეთანხმებას;

(გ) მომსახურების მიმწოდებელთან დაკავშირებით, რომელიც არის იურიდიული პირი, თუ დგინდება, რომ ის არ არის სხვა რომელიმე წევრის მომსახურების მიმწოდებელი ან იმ წევრის მიერ, რომლის მიმართაც უარის მთქმელი წევრი არ იყენებს მსო-ს შეთანხმებას.

მუხლი XXVIII

განსაზღვრებები

წინამდებარე შეთანხმების მიზნისათვის:

- (ა) 'ლონისძიება' ნიშნავს წევრის მიერ გაგარებულ ნებისმიერ ღონისძიებას კანონის, საკანონმდებლო აქტის, წესის, პროცედურის, გადაწყვეტილების, ადმინისტრაციული ქმედების ან სხვა რაიმე ფორმით;
- (ბ) 'მომსახურების მიწოდება' შეიცავს მომსახურების წარმოებას, განაწილებას, მარკეტინგს, გაყიდვას და მიწოდებას;
- (გ) წევრის მიერ გაგარებული ღონისძიება, რომელიც შეგავლენას ახდენს მომსახურებით ვაჭრობაზე შეიცავს ღონისძიებებს, რომლებიც უკავშირდება:
 - (i) მომსახურების შექმნას, გადახდას ან გამოყენებას;
 - (ii) მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებით, იმ მომსახურების ხელმისაწვდომობას და გამოყენებას, რომლის შეთავაზება ზოგადად სამოგალოებისათვის მოითხოვება ამ წევრების მიერ;
 - (iii) სხვა წევრის ტერიტორიაზე მომსახურების მიწოდებისათვის წევრის მიერ დანიშნული პირების წარმომადგენლობას, კომერციული წარმომადგენლობის ჩათვლით;
- (დ) 'კომერციული წარმომადგენლობა' ნიშნავს საქმიანი ან პროფესიული დაწესებულების ნებისმიერ ფორმას, შემდეგის საშუალებით:
 - (i) იურიდიული პირის დაარსება, შექმნა ან გამოყენება, ან
 - (ii) ფილიალის ან წარმომადგენლობის შექმნა ან გამოყენება;
- (ე) 'მომსახურების სექტორი' ნიშნავს,
 - (i) სპეციფიკურ ვალდებულებებთან მიმართებით, ამ მომსახურების ერთ ან რამდენიმე ან ყველა ქვესექტორს, როგორც განსაზღვრულია წევრის განაწესში;
 - (ii) სხვაგვარად, ამ მომსახურების მთლიან სექტორს, მისი ყველა ქვესექტორების ჩათვლით;
- (ვ) 'სხვა წევრის მომსახურება' ნიშნავს მომსახურებას, რომელიც მიეწოდება,
 - (i) ამ სხვა წევრის ტერიტორიიდან ან ტერიტორიაზე, ან საზღვაო გრანსპორტის შემთხვევაში, ამ სხვა წევრის კანონმდებლობის მიხედვით რეგისტრირებული გემის ან ამ სხვა წევრის დანიშნული პირის მიერ, რომელიც აწოდებს მომსახურებას გემის ფუნქციონირების და/ან ნაწილობრივ ან მთლიანად მისი გამოყენების საშუალებით; ან
 - (ii) ამ სხვა წევრის მომსახურების მიმწოდებლის მიერ კომერციული წარმომადგენლობის ან ფიზიკურ პირთა წარმომადგენლობის საშუალებით მომსახურების მიწოდების შემთხვევაში;
- (ზ) 'მომსახურების მიმწოდებელი' ნიშნავს მომსახურების მიმწოდებელ ნებისმიერ პირს;
- (თ) 'მომსახურების მონოპოლისტი მიმწოდებელი' ნიშნავს ნებისმიერ სახელმწიფო ორგანოს ან კერძო პირს, რომელიც წევრის ტერიტორიის შესაბამის ბაზარზე, ოფიციალურად ან ფაქტიურად, უფლებამოსილია ან დაფუძნებულია ამ წევრის მიერ, როგორც იმ მომსახურების ერთადერთი მიმწოდებელი;
- (ი) 'მომსახურების მომხმარებელი' ნიშნავს პირს, რომელიც იღებს ან იყენებს მომსახურებას;
- (კ) 'პირი' ნიშნავს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს;
- (ლ) 'სხვა წევრის ფიზიკური პირი' ნიშნავს ფიზიკურ პირს, რომელიც ცხოვრობს ამ სხვა წევრის ან სხვა წევრის ტერიტორიაზე და რომელიც მოქმედებს ამ სხვა წევრის კანონმდებლობის შესაბამისად;

(i) არის ამ სხვა წევრის მოქალაქე; ან

(ii) აქვს ამ სხვა წევრის გერიგორიაზე მუდმივად ცხოვრების უფლება, იმ წევრის შემთხვევაში:

1. რომელსაც არა ჰყავს მოქალაქეები; ან

2. რომელიც მის გერიგორიაზე მუდმივად მაცხოვრებლებს ანიჭებს მნიშვნელოვნად იგივე რეჟიმს, როგორსაც ის ანიჭებს მის მოქალაქეებს იმ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომლებიც ზეგავლენას ახდენს მომსახურებით ვაჭრობაზე, როგორც შეგყობინებულია მის მიერ მსო-ს შეთანხმების მიღების ან მასში გაწევრიანების დროს, იმის გათვალისწინებით, რომ არცერთი წევრი არ არის ვალდებული მიანიჭოს ასეთ მუდმივ მაცხოვრებლებს იმაზე ნაკლებად ხელსაყრელი რეჟიმი, როგორსაც მიანიჭებდა ეს სხვა წევრი ასეთ მუდმივ მაცხოვრებლებს. ასეთი შეგყობინება შეიცავს იმის რწმუნებას, რომ ასეთ მუდმივ მაცხოვრებლებთან მიმართებით მისი კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების შესაბამისად, აღებული იქნება იგივე პასუხისმგებლობა, როგორსაც ეს სხვა წევრი იღებს მის მოქალაქეებთან მიმართებით;

(მ) იურიდიული პირი' ნიშნავს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც მოგების ასევე სხვა მიზნებისათვის დაფუძნებულ ან ორგანიზებულ სახელმწიფო ან კერძო იურიდიულ ერთეულს, ნებისმიერი კორპორაციის, გრასტების, ამხანაგობის, ერთობლივი საწარმოს, ინდივიდუალური მესაკუთრის, ან ასოციაციის ჩათვლით;

(ნ) 'სხვა წევრის იურიდიული პირი' ნიშნავს იურიდიულ პირს, რომელიც:

(i) დაფუძნებულია ან სხვაგვარადაა ორგანიზებული, ამ სხვა წევრის კანონმდებლობის შესაბამისად, და ამ წევრის ან სხვა რომელიმე წევრის გერიგორიაზე დაკავებულია მნიშვნელოვანი საქმიანი ოპერაციებით; ან

(ii) კომერციული წარმომადგენლობის საშუალებით მომსახურების მიწოდების დროს კონკრულირებადია ან ეკუთვნის:

1. ამ წევრის ფიზიკურ პირს; ან

2. (ი) ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრულ ამ სხვა წევრის იურიდიულ პირებს.

(ო) იურიდიული პირი:

(i) 'ეკუთვნის' წევრის პირებს, თუ მასში მონაწილეობის წილის 50%-ზე მეტი ეკუთვნის ამ წევრის პირებს;

(ii) 'კონტროლდება' წევრის პირების მიერ, თუ ამ პირებს აქვთ უფლებამოსილება დანიშნონ მისი დირექტორების უმრავლესობა ან სხვაგვარად, სამართლებრივად მართონ მისი მოქმედება;

(iii) 'დაკავშირებულია' სხვა პირთან, როდესაც ის აკონტროლებს, ან კონტროლდება ამ სხვა პირის მიერ; ან როდესაც ის და სხვა პირი ორივე კონტროლდება ერთი და იმავე პირის მიერ; და

(პ) "პირდაპირი გადასახადები" მოიცავს საერთო შემოსავალზე, საერთო კაპიტალზე ან შემოსავლისა და კაპიტალის ნაწილზე დაწესებული ყველა სახის გადასახადებს, ქონების გასხვისებიდან მიღებულ შემოსავლებზე დაწესებული გადასახადების, უძრავი ქონების, მემკვიდრეობისა და საჩუქრებზე გადასახადების ჩათვლით, ასევე საწარმოების მიერ გადახდილი ხელფასების ან ჯამაგირების საერთო რაოდენობაზე გადასახადებს, ასევე კაპიტალზე მოგების გადასახადებს.

მუხლი XXIX

დანართები

წინამდებარე შეთანხმების დანართები წარმოადგენს წინამდებარე შეთანხმების განუყოფელ ნაწილს.

დანართები

დანართი მუხლის II გამორიცხვებთან დაკავშირებით

მოქმედების სფერო

1. ეს დანართი განსაზღვრავს პირობებს, რომლის მიხედვითაც წევრი, წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან თავისუფლდება თავისი ვალდებულებებიდან მუხლის II პუნქტი 1 შესაბამისად.

2. ნებისმიერი ახალი გამორიცხვა, რომელიც გამოყენებული იქნება მსო-ს შეთანხმების ძალაში შესვლის დღის შემდეგ, ექვემდებარება იმავე შეთანხმების მუხლი IX პუნქტი 3.

მიმოხილვა

1. მომსახურებით ვაჭრობის საბჭო განიხილავს ყველა გამორიცხვას, რომელიც გაკეთებულია 5 წელზე მეტი პერიოდით. პირველი ასეთი განხილვა შედგება მსო-ს შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან არაუგვიანეს 5 წლის შემდეგ.

2. განხილვის დროს მომსახურებით ვაჭრობის საბჭო:

(ა) ამოწმებს არსებობს თუ არა პირობები, რაც განაპირობებს ასეთი გამორიცხვების საჭიროებას; და

(ბ) განსაზღვრავს მომდევნო განხილვების ჩატარების ვადებს.

დასრულება

3. წევრის მიერ განსაკუთრებულ ღონისძიებასთან მიმართებით, წინამდებარე შეთანხმების მუხლი II პუნქტი 1 შესაბამისად, თავისი ვალდებულებებიდან გამორიცხვა დასრულდება გათავისუფლების განაწესში გათვალისწინებულ დღეს.

4. პრაქტიკულად, ასეთი გამორიცხვების მოქმედების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს. ნებისმიერ შემთხვევაში ისინი ექვემდებარება მოლაპარაკებებს ვაჭრობის ლიბერალიზაციის შემდგომ რაუნდებზე.

5. წევრი აცხადებს მომსახურებით ვაჭრობის საბჭოს გამორიცხვის მოქმედების ვადის დასრულებისთანავე, რომ შეუსაბამობაში მყოფი ღონისძიება სრულ შესაბამისობაში მოვიდა წინამდებარე შეთანხმების მუხლი II პუნქტი 1.

მუხლი II-დან გამორიცხვების ჩამონათვალი

მუხლი II პუნქტი 2 შესაბამისად შეთანხმებული ჩამონათვალი წარმოადგენს ამ დანართის შემადგენელ ნაწილს მსო-ს შეთანხმების ხელშეკრულების ორიგინალში.

დანართი წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში მომსახურების მიმწოდებელ ფიზიკურ პირთა გადაადგილების შესახებ

1. ეს დანართი გამოიყენება იმ ღონისძიებების მიმართ, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ფიზიკურ პირებზე, რომლებიც არიან წევრის მომსახურების მიმწოდებლები და ფიზიკურ პირებზე, რომლებიც დაქირავებულნი არიან წევრის მომსახურების მიმწოდებლის მიერ მომსახურების მიწოდების მიზნით.

2. ეს შეთანხმება არ ეხება ღონისძიებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ფიზიკურ პირებზე, რომლებიც მიისწრაფვიან წევრის დასაქმების ბაზარზე დაშვებისკენ, ასევე ეს შეთანხმება არ ეხება მოქალაქეობასთან და მულტივ ცხოვრებასა და დასაქმებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს.

3. წინამდებარე შეთანხმების III და IV ნაწილების შესაბამისად, წევრებს შეუძლიათ მოილაპარაკონ სპეციფიკური ვალდებულებების შესახებ, რომლებიც ეხება წინამდებარე შეთანხმების ფარგლებში მომსახურების მიმწოდებელ ფიზიკურ პირთა ყველა კატეგორიის გადაადგილებას. სპეციფიკური ვალდებულებებით გათვალისწინებულ ფიზიკურ პირებს ნება ეძლევათ მიაწოდონ მომსახურება ამ ვალდებულებების პირობების შესაბამისად.

1. წინამდებარე შეთანხმება არ ზღუდავს წევრს იმ ღონისძიებების გამოყენებისგან, რომლებიც არეგულირებს მის გერიტორიაზე ფიზიკურ პირთა შესვლას ან ღროებით დარჩენას, იმ ღონისძიებების ჩათვლით, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ დაცული იქნეს მისი საზღვრების ერთიანობა და უზრუნველყოფილი იქნეს მის საზღვრებზე ფიზიკურ პირთა მოწესრიგებული გადაადგილება, იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი ღონისძიებები არ გამოიყენება იმ სახით, რომ გაბათილებული ან შემცირებული იქნეს სპეციფიკური ვალდებულებების პირობებით ნებისმიერი წევრისათვის განკუთვნილი სარგებელი.

დანართი საჰაერო გრანსპორტის მომსახურებაზე

1. წინამდებარე დანართი გამოიყენება იმ ღონისძიებების მიმართ, რომლებიც ზეგავლენას ახდენს საჰაერო გრანსპორტის მომსახურებით ვაჭრობაზე, დადგენილზე ან დაუდგენელზე, და დამატებით მომსახურებაზე. დადასტურებულია, რომ წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად აღებული ნებისმიერი სპეციფიკური ვალდებულება არ ამცირებს ან ზეგავლენას არ ახდენს წევრის მიერ იმ ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებებით ნაკისრ ვალდებულებებზე, რომლებიც ძალაშია მსო-ს შეთანხმების ძალაში შესვლის დღისთვის.

2. წინამდებარე შეთანხმება, მისი დავების მოგვარების პროცედურების ჩათვლით, არ გამოიყენება იმ ღონისძიებების მიმართ, რომლებიც ზეგავლენას ახდენს:

- (ა) გადაზიდვის უფლებებზე, როგორც ფორმითაც არ უნდა იქნეს ისინი მიცემული; ან
- (ბ) მომსახურებაზე, რომელიც პირდაპირ უკავშირდება გადაზიდვის უფლებების განხორციელებას, გარდა იმისა, როგორც გათვალისწინებულია ამ დანართის პუნქტი 3 შესაბამისად.

3.წინამდებარე შეთანხმება გამოიყენება იმ ღონისძიებების მიმართ, რომლებიც ზეგავლენას ახდენს:

(ა) თვითმფრინავის სარემონტო და საექსპლუატაციო მომსახურებაზე;

(ბ) საჰაერო გრანსპორტის მომსახურების გაყიდვასა და მარკეტინგზე;

(გ) კომპიუტერული დაჯავშნის სისტემის მომსახურებაზე.

4. ამ შეთანხმების დავების მოგვარების პროცედურები შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ მაშინ, თუ შესაბამისი წევრის მიერ აღებულ იქნა ზოგადი ხასიათის ან სპეციფიკური ვალდებულებები და თუ ამოიწურა ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებებით გათვალისწინებული დავების მოგვარების პროცედურები.

5. მომსახურებით ვაჭრობის საბჭო პერიოდულად და უკიდურეს შემთხვევაში ყოველ ხუთ წელიწადში, მიმოიხილავს საჰაერო გრანსპორტის სექტორში მიმდინარე მოვლენებს და ამ დანართის მოქმედებას, მომავალში, ამ სექტორში, წინამდებარე შეთანხმების შესაძლო გამოყენების მიზნით.

6. განსაზღვრებები:

(ა) 'თვითმფრინავის სარემონტო და საექსპლუატაციო მომსახურება' ნიშნავს ისეთ საქმიანობებს, რომლებიც ჩატარებულია თვითმფრინავზე ან მის ნაწილზე მაშინ, როდესაც ის გამოსულია მომსახურებიდან და არ შეიცავს ეგრეთ წოდებულ ხაზის მომსახურებას.

(ბ) 'საჰაერო გრანსპორტის მომსახურების გაყიდვა და მარკეტინგი' ნიშნავს შესაბამისი საჰაერო გადაზიდვის შესაძლებლობებს თავისუფლად გაყიდოს და მარკეტინგი გაუკეთოს მის საჰაერო მომსახურებას, მარკეტინგის ყველა ასპექტების ჩათვლით, როგორცაა ბაზრის შესწავლა, რეკლამა და განაწილება. ეს საქმიანობები არ შეიცავს საჰაერო გრანსპორტის მომსახურების ფასების დადგენას და არც მსგავს მახასიათებლებს.

(გ) 'კომპიუტერული დაჯავშნის სისტემის მომსახურება' ნიშნავს კომპიუტერიზებული სისტემების საშუალებით მიწოდებულ მომსახურებას, რომელიც შეიცავს ინფორმაციას საჰაერო გადაზიდვის განრიგებზე, თავისუფალ ადგილებზე, ტარიფებზე და გაყიდვის წესებზე, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ავია ბილეთების დაჯავშნა და გაცემა.

(დ) 'გადაზიდვის უფლებები' ნიშნავს უფლებას მიწოდებული იქნეს მომსახურება განრიგით ან განრიგის გარეშე და/ან გადაყვანილ იქნან მგზავრები, ტვირთი და ფოსტა, ანაზღაურების ან დაქირავებისათვის, წევრის ტერიტორიიდან, ტერიტორიაზე, ტერიტორიის შიგნით და ტერიტორიის გავლით, მომსახურების პუნქტების, ფუნქციონირებადი მარშრუტების, განსახორციელებელი გადაზიდვების სახეების, გადაზიდვების მისაწოდებელი მოცულობის, გადასახდელი ტარიფებისა და მისი პირობების და ავიახაზების დანიშვნის კრიტერიუმების ჩათვლით; ეს უკანასკნელი შეიცავს ისეთ კრიტერიუმებს, როგორცაა რაოდენობა, საკუთრება და კონტროლი.

დანართი ფინანსურ მომსახურებაზე

1. მოქმედების სფერო და განსაზღვრებები

(ა) წინამდებარე დანართი გამოიყენება იმ ღონისძიებების მიმართ, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ფინანსური მომსახურების მიწოდებაზე. წინამდებარე დანართში ფინანსური მომსახურება ნიშნავს მომსახურების მიწოდებას, როგორც ეს

განსაზღვრულია წინამდებარე შეთანხმების მუხლი I პუნქტი 2 შესაბამისად.

(ბ) წინამდებარე შეთანხმების მუხლი I ქვეპუნქტი 3 (ბ) მიზნებისათვის 'მომსახურება, რომელიც მიეწოდება სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციების შესრულების მიზნით' ნიშნავს:

(i) ცენტრალური ბანკის ან სავალუტო დაწესებულების ან ნებისმიერი სხვა სახელმწიფო ერთეულის მიერ წარმართულ საქმიანობას ფულად-საკრედიტო და ვალუტის გაცვლის პოლიტიკის გატარების დროს;

(ii) საქმიანობას, რომელიც შეადგენს სოციალური უზრუნველყოფისა და სახელმწიფო საპენსიო გეგმების სამართლებრივი სისტემის ნაწილს; და

(iii) სახელმწიფო სტრუქტურის საქმიანობას, შესრულებულს მთავრობის ხარჯზე ან მისი გარანტიების საფუძველზე ან მისი ფინანსური რესურსების გამოყენებით.

(გ) წინამდებარე შეთანხმების მუხლი I ქვეპუნქტი 3 (ბ) მიზნებისათვის, თუ წევრი ნებას რთავს ნებისმიერ საქმიანობას, რომელიც მითითებულია ამ პუნქტის (ბ)(ii) ან (ბ)(iii) ქვეპუნქტებში, რათა წარიმართოს მისი ფინანსური მომსახურების მიმწოდებლების მიერ სახელმწიფო ორგანოსთან ან ფინანსური მომსახურების მიმწოდებელთან კონკურენციის პირობებზე, 'მომსახურება' შეიცავს ასეთ საქმიანობას.

(დ) წინამდებარე შეთანხმების მუხლი I ქვეპუნქტი 3(გ) არ გამოიყენება იმ მომსახურების მიმართ, რომელსაც ითვალისწინებს ეს დანართი.

2. შიდა რეგულირება

(ა) წინამდებარე შეთანხმების სხვა ნებისმიერი დებულების მიუხედავად, წევრი არ იბღუდება მიიღოს ზომები, გონივრული მიზეზების არსებობისას, ინვესტორთა, მენაბრეთა, პოლისის მფლობელთა ან ფინანსური მომსახურების მიმწოდებელთა ნდობით აღჭურვილი პირების დაცვის ჩათვლით, რათა უზრუნველყოფილ იქნას ფინანსური სისტემის ერთიანობა და სტაბილურობა. მაშინ, როდესაც ასეთი ღონისძიებები არ შეესაბამება წინამდებარე შეთანხმების დებულებებს, ისინი არ უნდა იყოს გამოყენებული იმ მიზნით, რომ თავიდან იქნას აცილებული წინამდებარე შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები.

(ბ) არაფერი წინამდებარე შეთანხმებაში არ გულისხმობს იმას, რომ მოთხოვოს წევრს იმ ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც უკავშირდება ინდივიდუალურ მომხმარებელთა საქმეებსა და ანგარიშებს ან სახელმწიფო ორგანოების მფლობელობაში მყოფ ნებისმიერ საილუმლო ან საკუთარ ინფორმაციას.

3. აღიარება

(ა) წევრს შეუძლია აღიაროს ნებისმიერი სხვა ქვეყნის გონივრული ღონისძიება იმის განსაზღვრის დროს, თუ როგორ იქნას გამოყენებული წევრის მიერ გატარებული ღონისძიება, რომელიც უკავშირდება ფინანსურ მომსახურებას. ასეთი აღიარება, რომელიც შეიძლება მიღწეულ იქნას ჰარმონიზაციის ან სხვა გზით, შეიძლება დაეფუძნოს შესაბამის ქვეყანასთან მიღწეულ შეთანხმებას ან შეიძლება მიენიჭოს ცალმხრივად.

(ბ) წევრი, რომელიც არის (ა) ქვეპუნქტში მოცემული მოქმედი ან მომავალი შეთანხმებების მონაწილე მხარე, თანაბარ შესაძლებლობას აძლევს სხვა დაინტერესებულ წევრებს აწარმოონ მოლაპარაკებები ამგვარ შეთანხმებებთან მათი მიერთების თაობაზე, ან აწარმოონ მოლაპარაკებები მსგავსი შეთანხმებების თაობაზე,

რომლებიც მდგომარეობის შესაბამისად შეიცავენ ეკვივალენტურ წესებს, გელამხედველობას, ასეთი წესების შესრულებას და თუ შესაძლებელი იქნებოდა, შეთანხმების მონაწილე მხარეთა შორის ინფორმაციის გაზიარებასთან დაკავშირებულ პროცედურებს. მაშინ, როდესაც წევრი ცალმხრივად ანიჭებს აღიარებას, ის თანაბარ შესაძლებლობებს აძლევს ნებისმიერ სხვა წევრს იმის დემონსტრირებისათვის, რომ ასეთი პირობები არსებობს.

(გ) როდესაც წევრს განზრახული აქვს მიანიჭოს აღიარება სხვა ნებისმიერი ქვეყნის გონივრულ ღონისძიებებს, მუხლი VII ქვეპუნქტი 4 (ბ) არ გამოიყენება.

4. დავების მოგვარება

გონივრულ ღონისძიებებზე და სხვა ფინანსურ საკითხებზე წარმოქმნილი დავების განხილვისას, სპეციალისტთა ჯგუფს უნდა გააჩნდეს იმ სპეციფიკური ფინანსური მომსახურების შესაბამისი აუცილებელი კომპეტენცია, რომელზეც წარმოიქმნა დავა.

5. განსაზღვრებები

წინამდებარე დანართის მიზნებისათვის:

(ა) ფინანსური მომსახურება არის წევრის ფინანსური მომსახურების მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული ფინანსური ხასიათის ნებისმიერი მომსახურება. ფინანსური მომსახურებები შეიცავს დაზღვევასა და დაზღვევასთან დაკავშირებულ ყველა სახის მომსახურებას, და ყველა სახის საბანკო და სხვა სახის ფინანსურ მომსახურებებს (გარდა დაზღვევისა). ფინანსური მომსახურებები შეიცავს შემდეგი სახის საქმიანობებს:

დაზღვევა და დაზღვევასთან დაკავშირებული მომსახურება

(i) პირდაპირი დაზღვევა (ერთობლივი დაზღვევის ჩათვლით);

(A) სიცოცხლის

(B) სიცოცხლის გარდა

(ii) გადაზღვევა და რეგროცესია;

(iii) სადაზღვევო შუამავლობა, როგორცაა საბროკერო და სააგენტო;

(iv) დაზღვევის დამხმარე მომსახურებები, როგორცაა საკონსულტაციო, აქტუარული, რისკის შეფასება და საჩივრების მოგვარების მომსახურებები;

საბანკო და სხვა ფინანსური მომსახურებები (გარდა დაზღვევისა)

(v) მოსახლეობისაგან ანაბრების და სხვა, გადახდას დაქვემდებარებული, ფულადი საშუალებების მიღება;

(vi) ყველა სახის სესხების გაცემა, მათ შორის სამომხმარებლო კრედიტი, უძრავი ქონების დაგირავების პირობით გაცემული კრედიტები, კომერციული გარიგებების ფაქტორინგი და ფინანსირება;

(vii) ფინანსური ლიზინგი;

(viii) ყველა სახის ანგარიშსწორებებისა და ფულის გადარიცხვის მომსახურებები, კრედიტების, საგადახდელი და დებიტორული ბარათების, სამგზავრო ჩეკებისა და საბანკო ვექსილების ჩათვლით;

(ix) გარანტიები და ვალდებულებები;

(x) საკუთარი ან მომხმარებელთა ხარჯზე წარმოებული ვაჭრობა, სავალუტო ბირჟაზე ან ბირჟის გარეთ, ან სხვა ფორმით;

- (A) ფულის ბაზრის ინსტრუმენტებით (ჩეკების, თამასუქების, სერტიფიკატების და ანაბრების ჩათვლით);
- (B) უცხოური ვალუტით;
- (C) წარმოებული პროდუქტებით, ფიუნჩერების და ოფციონების ჩათვლით;
- (D) გაცვლითი კურსისა და საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტებით, ისეთი პროდუქტების ჩათვლით, როგორცაა სვოპები, საფორვარლო კურსის შეთანხმებები;
- (E) გადაცემადი ფასიანი ქაღალდები;
- (F) სხვა საბრუნავი ინსტრუმენტებით და ფინანსური აქტივებით, ოქროსა და ვერცხლი ზოდების ჩათვლით.

- (xi) ნებისმიერი სახის ფასიანი ქაღალდების გამოშვებაში მონაწილეობა, გარანტირებისა და განთავსების ჩათვლით აგენტის სახით (სახელმწიფო ან კერძო) და ასეთ გამოშვებასთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდება;
- (xii) ფულის ბაზარზე საბროკერო ოპერაციები;
- (xiii) აქტივების მართვა, როგორცაა ნაღდი ფული ან ფასიანი ქაღალდები, კოლექტიური ინვესტიციების მართვის ნებისმიერი ფორმა, საპენსიო ფონდის მართვა, მეთვალყურეობა, სამეანაბრეო და საგრასტო მომსახურება;
- (xiv) ფინანსური აქტივებისათვის კლირინგული მომსახურებები, ფასიანი ქაღალდების, წარმოებული პროდუქტების და სხვა საბრუნავი ინსტრუმენტების ჩათვლით;
- (xv) ფინანსური ინფორმაციის მიწოდება და გადაცემა და ფინანსური მონაცემებისა და შესაბამისი საპროგრამო უზრუნველყოფის გადამუშავება სხვა ფინანსური მომსახურების მიმწოდებლების მიერ;
- (xvi) საკონსულტაციო, საშუამავლო და სხვა დამხმარე ფინანსური მომსახურებები ყველა იმ საქმიანობებზე, რომლებიც ჩამოთვლილია (v)-დან (xv) ქვეპუნქტის ჩათვლით, საკრედიტო საკითხებთან დაკავშირებით სახელმძღვანელო და ანალიტიკური მასალების ჩათვლით, საინვესტიციო და საპორტფელ კვლევა და კონსულტაცია, კონსულტაციები შესყიდვებზე, და საკორპორაციო რესტრუქტურირებასა და სტრატეგიაზე.

(ბ) ფინანსური მომსახურების მიმწოდებელი ნიშნავს წევრის ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელსაც სურს მიაწოდოს ან რომელიც აწოდებს ფინანსურ მომსახურებებს, მაგრამ გერმინი “ფინანსური მომსახურების მიმწოდებელი” არ მოიცავს სახელმწიფო ორგანოს.

(გ) “სახელმწიფო ორგანო” ნიშნავს:

- (i) წევრის მთავრობას, ცენტრალურ ბანკს ან საფინანსო დაწესებულებას ან სტრუქტურას, რომელსაც ფლობს და აკონტროლებს წევრი, რომელიც ძირითადად დაკავებულია სამთავრობო ფუნქციების ან სამთავრობო მიზნებისათვის საქმიანობების შესრულებით, და რომელიც არ შეიცავს ქვედანაყოფს, რომელიც ძირითადად დაკავებულია კომერციული პირობებით ფინანსური მომსახურების მიწოდებით კომერციულ პირობებზე; ან
- (ii) კერძო სტრუქტურას, რომელიც ახორციელებს იმ ფუნქციებს, რომელსაც ჩვეულებრივ ახორციელებს ცენტრალური ბანკი ან სავალუტო დაწესებულება.

მეორე დანართი ფინანსურ მომსახურებაზე

1.წინამდებარე შეთანხმების მუხლი II და მუხლი II გამორიცხვებთან დაკავშირებული დანართის პუნქტების 1 და 2 მიუხედავად წევრს შეუძლია, მსო-ს შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან ოთხი თვის შემდეგ 60 დღის განმავლობაში, შეიგანოს დანართში ისეთი ღონისძიებები, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ მომსახურებას და შეუსაბამობაშია წინამდებარე შეთანხმების მუხლი II პუნქტი 1.

2.ამ შეთანხმების მუხლი XXI მიუხედავად, წევრს შეუძლია, მსო-ს შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან ოთხი თვის შემდეგ 60 დღის განმავლობაში, გააუმჯობესოს, მთლიანად ან ნაწილობრივ შეცვალოს ან უკან გამოითხოვოს მის განაწესში ჩაწერილი სპეციფიკური ვალდებულებები ფინანსურ მომსახურებაზე.

3.მომსახურებით ვაჭრობის საბჭო აყალიბებს ნებისმიერ პროცედურებს, რომელიც აუცილებელია პუნქტების 1 და 2 გამოყენებისათვის.

დანართი საზღვაო გრანსპორტის მომსახურების შესახებ მოლაპარაკებებზე

1.წინამდებარე შეთანხმების მუხლი II და მუხლი II გამორიცხვებთან დაკავშირებული დანართი, ამ დანართში იმ ღონისძიებების ჩაწერის მოთხოვნის ჩათვლით, რომელიც შეუსაბამობაშია უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმთან და რომელსაც გამოიყენებს წევრი, ძალაში შედის საერთაშორისო საზღვაო გადაზიდვებისათვის, დამხმარე მომსახურებისათვის და პორტის საშუალებებზე დაშვებისა და მათი გამოყენებისათვის:

(ა) განხორციელების დღისთვის, რომელიც უნდა განისაზღვროს საზღვაო გრანსპორტის მომსახურების შესახებ მოლაპარაკებებზე მინისგრთა გადაწყვეტილების მე-4 პუნქტის შესაბამისად; ან

(ბ) მოლაპარაკებების უშედეგოდ დასრულების შემთხვევაში, საზღვაო გრანსპორტის მომსახურების შესახებ მოლაპარაკებებზე მუშა ჯგუფის მიერ საბოლოო ანგარიშის გაკეთების დღეს, რომელიც გათვალისწინებულია მემოხსენებულ გადაწყვეტილებაში.

2.პუნქტი 1 არ ეხება საზღვაო გრანსპორტის მომსახურებაზე რაიმე სპეციფიკურ ვალდებულებებს, რომლებიც ჩაწერილია წევრის განაწესში.

3.პუნქტში 1 აღნიშნული მოლაპარაკებების დამთავრების მომენტიდან და განხორციელების დღემდე, წევრს შეუძლია გააუმჯობესოს, მთლიანად ან ნაწილობრივ შეცვალოს ან უკან გამოითხოვოს ამ სექტორში აღებული სპეციფიკური ვალდებულებები კომპენსაციის შეთავაზების გარეშე, მუხლი XXI დებულებების მიუხედავად.

დანართი კავშირგაბმულობის შესახებ

1.მიზნები

აღიარებენ რა კავშირგაბმულობის მომსახურების სექტორის სპეციფიკურობას და, განსაკუთრებით, მის ორმაგ როლს, როგორც ეკონომიკური საქმიანობის

განსაკუთრებული სექტორისა და ეკონომიკური საქმიანობისათვის ინფორმაციის გადაცემის ძირითადი საშუალებისა, წევრები შეთანხმდნენ წინამდებარე დანართზე იმ მიზნით, რომ შემუშავდეს წინამდებარე შეთანხმების დებულებები იმ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომლებიც ზეგავლენას ახდენს სახელმწიფო კავშირგაბმულობის ქსელებსა და მომსახურებაზე დაშვებასა და მათ გამოყენებაზე. შესაბამისად, ეს დანართი ითვალისწინებს წინამდებარე შეთანხმებასთან დაკავშირებულ შენიშვნებსა და დამატებით დებულებებს.

2. მოქმედების სფერო

(ა) ეს დანართი გამოიყენება წევრის მიერ გაგარებულ ყველა იმ ღონისძიებაზე, რომელიც ზეგავლენას ახდენს სახელმწიფო კავშირგაბმულობის ქსელებსა და მომსახურებაზე დაშვებასა და გამოყენებაზე.

(ბ) ეს დანართი არ გამოიყენება იმ ღონისძიებების მიმართ, რომლებიც ზეგავლენას ახდენს საკაბელო გადაცემების განაწილებაზე ან რადიო ან სატელევიზიო პროგრამებზე.

(გ) არაფერი ამ დანართში არ გულისხმობს:

(i) მოთხოვოს წევრს უფლებამოსილება მიაწოდოს ნებისმიერი სხვა წევრის მომსახურების მიმწოდებელს დააარსოს, ააშენოს, შეიძინოს, იჯარით აიღოს, ამოქმედოს ან მიაწოდოს სახელმწიფო კავშირგაბმულობის ქსელები და მომსახურებები ვარდა იმისა, რაც გათვალისწინებულია მის განაწესში; ან

(ii) მოთხოვოს წევრს (ან მოთხოვოს წევრს დაავალდებულოს მომსახურების მიმწოდებლები მისი კანონმდებლობის შესაბამისად) დააარსოს, ააშენოს, შეიძინოს, იჯარით აიღოს, ამოქმედოს ან მიაწოდოს სახელმწიფო კავშირგაბმულობის ქსელები და მომსახურება, რომელიც არ არის შეთავაზებული ფართო საზოგადოებისათვის.

3. განსაზღვრებები

ამ დანართის მიზნებისათვის:

(ა) “კავშირგაბმულობა” ნიშნავს ელექტრომაგნიტური საშუალებებით სიგნალების გადაცემას და მიღებას;

(ბ) “სახელმწიფო კავშირგაბმულობის მომსახურება” ნიშნავს კავშირგაბმულობის ნებისმიერი სახის მომსახურებას, რომელიც სპეციფიკურად ან ფაქტიურად მოითხოვება წევრის მიერ, რათა შეთავაზებულ იქნას ფართო საზოგადოებისათვის. ასეთი მომსახურება სხვასთან ერთად, შეიძლება შეიცავდეს ტელეგრაფს, ტელეფონს, ტელექსს და მონაცემთა გადაცემას, რომელიც ჩვეულებრივ გულისხმობს ორ ან მეტ პუნქტს შორის მომხმარებლისათვის საჭირო ინფორმაციის რეალურ დროში გადაცემას, საწყის და საბოლოო პუნქტებს შორის გადაცემისას მომხმარებლისათვის საჭირო ინფორმაციის ფორმისა და შინაარსის ყოველგვარი ცვლილების გარეშე.

(გ) “სახელმწიფო კავშირგაბმულობის ქსელები” ნიშნავს სახელმწიფო კავშირგაბმულობის ინფრასტრუქტურას, რომელიც საშუალებას იძლევა განხორციელდეს კავშირგაბმულობა განსაზღვრული ქსელების დაბოლოებების პუნქტებს შორის.

(დ) “შიდა კორპორაციული კავშირგაბმულობა” ნიშნავს კავშირგაბმულობას, რომლის საშუალებითაც კავშირი მყარდება კომპანიის შიგნით, ან კომპანია უკავშირდება მის

შვილობილ საწარმოებს, ფილიალებს და, თუ ეს შეესაბამება წევრის შიდა კანონმდებლობას, განყოფილებებს. ამ მიზნებისათვის, “შვილობილი საწარმოები“-ს, “ფილიალები“-ს და, სადაც გამოყენებადია, “განყოფილებები“-ს განსაზღვრება ხდება თითოეული წევრის მიერ. “შიდა კორპორაციული კავშირგაბმულობა“ ამ დანართში გამოირიცხავს კომერციულ ან არა-კომერციულ მომსახურებას, რომლებიც მიეწოდება იმ კომპანიებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შვილობილ საწარმოებთან, ფილიალებთან ან განყოფილებებთან ან რომლებიც შეთავაზებულია მომხმარებლისათვის ან პოტენციური მომხმარებლისათვის.

(ე) ამ დანართის პუნქტზე ან ქვეპუნქტზე მითითება შეიცავს მის ყველა ქვეგანყოფილებებს.

4.საჯაროობა

ამ შეთანხმების მუხლი III გამოყენებისას თითოეული წევრი უზრუნველყოფს იმას, რომ შესაბამისი ინფორმაცია იმ პირობებზე, რომლებიც ზეგავლენას ახდენს სახელმწიფო კავშირგაბმულობის ქსელებსა და მომსახურებაზე დაშვებასა და გამოყენებაზე, ხელმისაწვდომი იყოს ფართო საზოგადოებისათვის, შემდეგი ფაქტორების ჩათვლით: გარიყები და მომსახურების სხვა პირობები; ასეთ ქსელებთან და მომსახურებასთან ტექნიკური შეერთებების სპეციფიკაცია; ინფორმაცია ასეთ დაშვებასა და გამოყენებაზე ზეგავლენის მქონე სტანდარტების მომზადებასა და მიღებაზე პასუხისმგებელი ორგანოების შესახებ; გერმინალებისა და სხვა მოწყობილობების შეერთებასთან დაკავშირებული პირობები; და ლიცენზირებისა და რეგისტრაციის მოთხოვნების შეგყობინება, თუ ასეთი არსებობს.

5.სახელმწიფო კავშირგაბმულობის ქსელებსა და მომსახურებაზე დაშვება და გამოყენება

(ა) თითოეული წევრი უზრუნველყოფს იმას, რომ სხვა რომელიმე წევრის ნებისმიერი მომსახურების მიმწოდებელს, მის განაწესში გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებისათვის მიენიჭოს სახელმწიფო კავშირგაბმულობის ქსელებსა და მომსახურებაზე დაშვების და გამოყენების უფლება გონივრული და არა-დისკრიმინაციული პირობებით. ეს ვალდებულება გამოიყენება, სხვასთან ერთად, (ბ)-დან (ვ) პუნქტის ჩათვლით.

(ბ) თითოეული წევრი უზრუნველყოფს იმას, რომ ნებისმიერი სხვა წევრის მომსახურების მიმწოდებელს ჰქონდეს სახელმწიფო კავშირგაბმულობის ქსელებსა და მომსახურებაზე დაშვების და გამოყენების უფლება, რომელიც შეთავაზებულია ამ წევრის გერიგორიაზე ან საზღვრის გადაკვეთით, კერძოდ დაქირავებული ქსელების ჩათვლით, და ამ მიზნებისათვის, (ე) და (ვ) პუნქტების შესაბამისად, უზრუნველყოფს, რომ ასეთი მომსახურების მიმწოდებლებს ნება მიეცეს:

(i) შეიძინოს ან იჯარით აიღოს და შეუერთოს გერმინალი ან სხვა მოწყობილობა, რომელიც უერთდება ქსელს და რომელიც აუცილებელია მიმწოდებლის მომსახურების მიწოდებისათვის;

(ii) დაუკავშიროს კერძო დაქირავებული ან კერძო კავშირგაბმულობის ქსელები სახელმწიფო კავშირგაბმულობის ქსელებსა და მომსახურებას ან სხვა მომსახურების მიმწოდებლის მიერ დაქირავებულ ან კერძო კავშირგაბმულობის ქსელებს;

(iii) გამოიყენოს ექსპლუატაციის წესები მომსახურების მიწოდებისას მომსახურების მიმწოდებლის არჩევნის შესაბამისად, გარდა იმ მომსახურების მიწოდებისა, რომელიც

აუცილებელია იმისათვის, რომ სახელმწიფო კავშირგაბმულობის ქსელები და მომსახურება ხელმისაწვდომი გახდეს ფართო საზოგადოებისათვის.

(გ) თითოეული წევრი უზრუნველყოფს, რომ სხვა ნებისმიერი წევრის მომსახურების მიმწოდებლებს შეეძლოთ გამოიყენონ სახელმწიფო კავშირგაბმულობის ქსელები და მომსახურება, საზღვრებს შიგნით და მის გარეთ ინფორმაციის მოძრაობისათვის, ასეთი მომსახურების მიმწოდებლების შიდა-კორპორაციული კავშირგაბმულობის ჩათვლით, და ნებისმიერი წევრის ტერიტორიაზე იმ ინფორმაციის ჩათვლით, რომელსაც შეიცავს მონაცემთა ბაზები ან შენახული არის მანქანურად საკითხავი ფორმით. წევრის მიერ გატარებული ნებისმიერი ახალი ან შეცვლილი ღონისძიება, რომელიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ამგვარ გამოყენებაზე, ექვემდებარება შეგყობინებას და კონსულტაციებს, წინამდებარე შეთანხმების სათანადო დებულებების შესაბამისად.

(დ) მიუხედავად წინა პუნქტისა, წევრს შეუძლია მიიღოს ისეთი ზომები, რომლებიც აუცილებელია რათა უზრუნველყოფილ იქნას ინფორმაციის უსაფრთხოება და კონფიდენციალურობა, იმ პირობით, რომ ასეთი ღონისძიებები არ იქნება გამოყენებული იმ ფორმით, რომელიც შექმნიდა თვითნებურ ან გაუპართლებელ დისკრიმინაციას ან ფარულ შემლუღვას მომსახურებით ვაჭრობაში.

(ე) თითოეული წევრი უზრუნველყოფს, რომ არანაირი პირობა არ იქნება დაწესებული სახელმწიფო კავშირგაბმულობის ქსელებსა და მომსახურებაზე, გარდა იმისა, რაც აუცილებელია, რათა:

(i) დაცულ იქნას სახელმწიფო კავშირგაბმულობის ქსელებისა და მომსახურების მიმწოდებელთა სახელმწიფო მომსახურების ვალდებულებები, განსაკუთრებით მათი შესაძლებლობა გახადონ თავიანთი ქსელები ან მომსახურება ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი;

(ii) დაცულ იქნას სახელმწიფო კავშირგაბმულობის ქსელებისა და მომსახურების ტექნიკური ერთიანობა; ან

(iii) უზრუნველყოფილ იქნას, რომ სხვა ნებისმიერი წევრის მომსახურების მიმწოდებელი არ ახდენდეს მომსახურების მიწოდებას, თუ ეს ნებადართული არ არის წევრის განაწესში აღებული ვალდებულებებით.

(ვ) იმის გათვალისწინებით, რომ ისინი აკმაყოფილებენ (ე) პუნქტში მოცემულ კრიტერიუმებს, სახელმწიფო კავშირგაბმულობის ქსელებსა და მომსახურებაზე დაშვების პირობები შეიძლება შეიცავდნენ:

(i) შემლუღვებს ასეთი მომსახურების გადაყიდვაზე ან მათ ნაწილობრივ გამოყენებაზე;

(ii) მოთხოვნას გამოყენებულ იქნას განსაზღვრული ტექნიკური შეერთებები, ასეთ ქსელებსა და მომსახურებებთან ურთიერთშეერთებისათვის, შეერთების წესების ჩათვლით;

(iii) მოთხოვნებს, რაც აუცილებელია ასეთი მომსახურებების ფუნქციონირებისათვის და პუნქტში 7 (ა) ჩამოყალიბებული მიზნების მიღწევის ხელშეწყობისათვის;

(iv) იმ ტერმინალის ან სხვა მოწყობილობის დადასტურებას, რომელიც უერთდება კავშირგაბმულობის ქსელს, და ტექნიკურ მოთხოვნებს, რომლებიც ეხება ასეთი მოწყობილობების ქსელებთან დაკავშირებას;

(v) შემლუღვებს, რომლებიც ვრცელდება კერძო დაქირავებული ან კერძო კავშირგაბმულობის ქსელების ასეთ ქსელებთან ან მომსახურებასთან ან სხვა მომსახურების მიმწოდებლის მიერ დაქირავებულ ან კერძო ქსელებთან მიერთებაზე;

(vi) შეგყობინებას, რეგისტრაციას და იჯარას.

(ზ) ამ განყოფილების წინა პუნქტების მიუხედავად, განვითარებად წევრ ქვეყანას

შეუძლია, მისი განვითარების დონესთან შესაბამისობაში, შემოიღოს გონივრული პირობები სახელმწიფო კავშირგაბმულობის ქსელებსა და მომსახურებაზე დაშვებაზე, რაც აუცილებელია მათი შიდა კავშირგაბმულობის ინფრასტრუქტურისა და მომსახურების პოტენციალის გაძლიერებისათვის და კავშირგაბმულობის მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობაში მათი მონაწილეობის გაზრდისათვის. ასეთი პირობები იწერება წევრის განაწესში.

6. გექნიკური თანამშრომლობა

(ა) წევრები აღიარებენ, რომ ქვეყნებში და განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში ეფექტური, მოწინავე კავშირგაბმულობის ინფრასტრუქტურა წარმოადგენს აუცილებელ პირობას მათი მომსახურებით ვაჭრობის გაფართოებისათვის. ამ მიზნით, წევრები იწონებენ და ხელს უწყობენ, მაქსიმალურად შესაძლო ფარგლებში, განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების და მათი სახელმწიფო კავშირგაბმულობის ქსელებისა და მომსახურების მიმწოდებლების და სხვა ერთეულების მონაწილეობას საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების განვითარების პროგრამებში, საერთაშორისო საგელეკომუნიკაციო კავშირის, გაეროს განვითარების პროგრამის და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის ჩათვლით.

(ბ) წევრები ხელს უწყობენ და ეხმარებიან კავშირგაბმულობის სფეროში განვითარებად ქვეყნებს შორის თანამშრომლობას საერთაშორისო, რეგიონულ და სუბ-რეგიონულ დონეებზე.

(გ) შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, წევრები, სადაც შესაძლებელია, განვითარებადი ქვეყნებისათვის ხელმისაწვდომს ხდიან ინფორმაციას კავშირგაბმულობის მომსახურებასა და კავშირგაბმულობის და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, იმისათვის, რომ დაეხმარონ მათ მათი შიდა კავშირგაბმულობის მომსახურების სექტორის განმტკიცებაში.

(დ) წევრები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ შესაძლებლობებს ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის, რათა ხელი შეუწყონ კავშირგაბმულობის მომსახურების მიმწოდებლებს დაეხმარონ ტექნოლოგიების გადაცემაში, სტაჟირებაში და სხვა საქმიანობებში, რაც ეხმარება მათი კავშირგაბმულობის ინფრასტრუქტურის განვითარებას და მათი კავშირგაბმულობის მომსახურებით ვაჭრობის გაფართოებას.

7. საერთაშორისო ორგანიზაციებთან და შეთანხმებებთან ურთიერთობა

(ა) წევრები აღიარებენ საერთაშორისო სტანდარტების მნიშვნელობას კავშირგაბმულობის ქსელებისა და მომსახურების გლობალური შეთავსებულობისათვის და ურთიერთ-ფუნქციონირებისათვის და ვალდებულებას იღებენ ხელი შეუწყონ ასეთი სტანდარტების მიღებას შესაბამისი საერთაშორისო ორგანოების მუშაობის მეშვეობით, საერთაშორისო საგელეკომუნიკაციო კავშირისა და საერთაშორისო სტანდარტიზაციის ორგანიზაციის ჩათვლით.

(ბ) წევრები აღიარებენ სამთავრობათაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და შეთანხმებების როლს ადგილობრივი და გლობალური კავშირგაბმულობის მომსახურების, განსაკუთრებით საერთაშორისო საგელეკომუნიკაციო კავშირის, ეფექტური ფუნქციონირების საქმეში. წევრები აგარებენ შესაბამის კონსულტაციებს, სადაც ეს აუცილებელია, ასეთ ორგანიზაციებთან ამ დანართის განხორციელებისას

წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებით.

დანართი კავშირგაბმულობის ძირითად საშუალებებზე
მოლაპარაკებების შესახებ

1. მუხლი II და მუხლის II გამორიცხვების შესახებ დანართი, იმ მოთხოვნის ჩათვლით, რომელიც ითვალისწინებს იმ ღონისძიებების ჩაწერას, რომელსაც განახორციელებს წევრი და რომლებიც არ შეესაბამება უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს, ძალაში შევა მხოლოდ კავშირგაბმულობის ძირითადი საშუალებებისათვის:

(ა) განხორციელების დღისთვის, რომელიც უნდა განისაზღვროს კავშირგაბმულობის ძირითადი საშუალებების შესახებ მოლაპარაკებებზე მინისგრთა გადაწყვეტილების პუნქტი 5 შესაბამისად; ან

(ბ) მოლაპარაკებების უშედეგოდ დასრულების შემთხვევაში, კავშირგაბმულობის ძირითადი საშუალებების შესახებ მოლაპარაკებებზე, მუშა ჯგუფის მიერ საბოლოო ანგარიშის გაკეთების დღეს, რომელიც გათვალისწინებულია ზემოხსენებულ გადაწყვეტილებაში.

3. პუნქტი 1 არ ეხება კავშირგაბმულობის ძირითად საშუალებებზე რაიმე სპეციფიკურ ვალდებულებებს, რომლებიც ჩაწერილია წევრის განაწესში.